# ალია

# 1 ლარი 70 თეთრი

N34/2964/ 6 მარტი 2014 წ PRESS ფასი 70 თ

ორშაბათი სამშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან


ცესკოს ქმედებებით არჩევნებს „ნაციონალები“ მოიგებენ?



„იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ ბრალს სდებს

ექსკლუზივი

პედაგოგები წლიური 6000 ლარზე ნაკლები შემოსავლით, აპრილში 350 ლარს მიიღებენ



სად გაქრა დაპირებული მე-13 ხელფასი და საახალწლო საჩუქარი — 65 ლარი

ექსკლუზივი

ფსიქოტროპული პრეპარატები ისევ იყიდება...



რა ხერხს მიმართეს აფთიაქებმა

ექსკლუზივი

რისთვის მოგვცეს და რაში დაიხარჯება ევროკავშირის საჩუქარი 21 მილიონი?



# გიგი უგულავამ თავის მომხრეებს ადეიშვილის „ჩაშვება“ დაავალა



## ექსკლუზივი

## ეკონომიკის სამინისტრო რესტორნებში, ფურშეტებსა და სასტუმროებში ყველაზე არაეკონომიური მხარჯველი აღმოჩნდა





„სარესტორნო მომსახურებებსა და ფურშეტებში – 308 882 ლარი; ავტოტექმომსახურებასა და რეცხვაში – 171 920 ლარი; საწვავში 636 793 ლარი; სასტუმროს ხარჯები – 318 857 ლარი; საჩუქრებში – 79 170 ლარი; ალკოჰოლურ და უალკოჰოლო სასმელებსა და პროდუქტებში – 29 068 ლარი; მობილურ ტელეფონებში – 11 712 ლარი; საოფისე ტექნიკაში – 250 254 ლარი; ვიდეოკამერაში – 15 823 ლარი“

## უკრაინელები პარტიზანული ომისთვის ემზადებიან?



რას უყვება „ალიას“ უკრაინაში მცხოვრები ქართველი

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გზებზე ისევ შეზღუდვებია



თოვლისა და ლიპყინულის გამო, მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური-კობის მონაკვეთზე გარკვეული შეზღუდვებია.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ცნობით, ზემოთ აღნიშნულ მონაკვეთზე ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით.

გუდაური-კობის მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა განხორციელდება ზვავდამცავი გვირაბების გავლით. მისაბმელიანი, ნახევრად მისაბმელიანი ავტოტრანსპორტისა და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა გვირაბებში განხორციელდება ცალმხრივად. აღნიშნულ მონაკვეთზე ავტომანქანების მიმოსვლისას იკრძალება მათი გაჩერება. აღნიშნული რეჟიმით მოძრაობა განხორციელდება საპატრულო პოლიციის უშუალო ზედამხედველობითა და კოორდინაციით. (ინტერპრესნიუსი)

## ილია მეორე სტამბულში გაემგზავრა



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე დღეს სტამბულში გაემგზავრა. კათოლიკოს-პატრიარქი ჩარტერული რეისით დელეგაციის წევრებთან, მათ შორის რამდენიმე მღვდელმთავართან ერთად გაფრინდა. პატრიარქს გამგზავრების წინ კომენტარი არ გაუკეთებია.

პატრიარქი თურქეთში მსოფლიო პატრიარქს, უწმინდეს ბართლომეოსს შეხვდება. შეხვედრის დეტალები და თემატიკა უცნობია, ასევე უცნობია პატრიარქის ვიზიტის ხანგრძლივობა.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს პატრიარქთან ერთად საქართველოს პატრიარქი შაბათ-კვირას წირვა-ლოცვას აღავლენს. (ინტერპრესნიუსი)

## ჯონ ქერიმ ლავროვს უკრაინელ კოლეგასთან შეხვედრისკენ მოუწოდა

ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჯონ ქერიმ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვს მოუწოდა, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელ ანდრეი დეშიცას ყირიმში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით შეხვდეს.

ამის შესახებ ერთ-ერთმა ამერიკელმა მაღალჩინოსანმა განაცხადა. ამერიკელი მაღალჩინოსნის ცნობით, ეს იყო მოკლე, პრივატული შეხვედრა ლავროვთან მას შემდეგ, რაც ამერიკის სახელმწიფო მდივანი სხვა ქვეყნების საგარეო უწყებების ხელმძღვანელებს შეხვდა ლიბანის მხარდაჭერის ფარგლებში. მისი თქმით, სახელმწიფო მდივანმა სერგეი ლავროვს უკრაინასთან პირდაპირი მოლაპარაკებებისკენ მოუწოდა. (ინტერპრესნიუსი)

## ქერჩში უკრაინელებს იარაღის დაყრა მოსთხოვეს



რუსულ სამხედროფორმიანმა შეიარაღებულმა პირებმა ქერჩში განთავსებული უკრაინის სამხედრო ნაწილის ბლოკირება განახორციელეს. სამხედრო ნაწილს, რომელიც ქერჩიდან 9 კილომეტრში მდებარეობს და უკრაინის საჰაერო სივრცეს იცავს, რუსული სანომრე ნიშნიანი ორი სატვირთო ავტომანქანა მიუახლოვდა. მანქანებში 20-მდე ჩაფხუტიანი და ნიღბიანი სამხედროფორმიანი ადამიანი იჯდა. მათ სამხედრო ნაწილის გარშემო ტყვიამფრქვევები განათავსეს და უკრაინელ სამხედროებს იარაღის ჩაბარება უბრძანეს, რაზეც უარი მიიღეს.

ინფორმაციის გავრცელების შემდეგ, სამხედრო ნაწილთან სამხედროების ოჯახის წევრები მივიდნენ, რომლებიც რუსეთის სამხედროფორმიანებს ნაწილში შეშვებას სთხოვდნენ და აცხადებდნენ, რომ საკუთარი ახლობლების დასაცავად მზად არიან. (ინტერპრესნიუსი)

## უკრაინის საკითხზე რეზოლუციის პროექტზე ვერ შეთანხმდნენ

უკრაინის საკითხთან დაკავშირებით რეზოლუციის პროექტზე შეთანხმება მიღწეული არ არის. პარლამენტის თავმჯდომარის განმარტებით, საკითხზე მსჯელობა მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, თუმცა, დღის ბოლოს გარკვეული საკითხები შეუთანხმებელი რჩება.

„მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა ამ საკითხზე, მაგრამ ამ წუთის მდგომარეობით ყველა საკითხი შეთანხმებული არ არის. ვფიქრობ, დღესვე უნდა გაიმართოს მსჯელობა რეზოლუციის პროექტის ტექსტზე და 6 მარტს, 16.00 საათზე რიგგარეშე სხდომაზე საბოლოო შეთანხმებას მივაღწევთ“, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ. (ინტერპრესნიუსი)

# როგორ დაისჯება არჩევნებზე ყალბი პირადობის მოწმობით მისული პირი?

**საარჩევნო კოდექსში შედის ცვლილება, რომლის მიხედვითაც, არჩევნებისას, ამომრჩევლის მიერ წარდგენილი დოკუმენტისა და საარჩევნო სიაში მისი ფოტოსურათის შეუსაბამობის შემთხვევაში, პირს შესაძლოა, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისროს.**

**დეტალების დასაზუსტებლად „ალია“ იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარეს, ვახტანგ ხმალაძეს დაუკავშირდა:**

**— ბატონო ვახტანგ, ქალები ხშირად თმას იღებავენ, პლასტიკურ ოპერაციას იკეთებენ სახეზე, გამოდის, თუ ამომრჩეველმა სურათთან იდენტიფიკაცია ვერ დაამტკიცა, მასზე საქმე აღიძვრება?**

– ჩემი აზრით, ეს ნორმა იქნება ძალიან სერიოზული პრევენცია იმისა, რომ ვერავინ გამოიყენოს სხვისი საბუთი, ან გააყალბონ დოკუმენტები. ამის გამკეთებელს დაეკისრება 2 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა. დღესაც არის ასეთი მუხლი სისხლის სამართლის კოდექსში, ოღონდ აქ მნიშვნელოვანია ის, რომ საკმაოდ ადვილად ხდება შესაძლებელი დამრღვევის გამოვლენა. ამის საფუძველი არის ის, რომ ამომრჩეველთა სიაში, რომელიც უბანში იქნება, ყოველი ამომრჩევლის გვარის წინ იქნება ამ ამომრჩევლის ის ფოტოსურათი, რომელიც არის სამოქალაქო რეესტრში.



რაც შეეხება გარეგნობის შეცვლას, ამაზე ასე მოგახსენებთ: დღეს თქვენ ბანკშიც მიდიხართ, ან სასტუმროში, სადაც თქვენი პირადობის მოწმობა წარგიდგენიათ ხო? შავ-თეთრ სურათს რომ უყურებთ, ვერ ცნობთ ადამიანს შავ-თეთრი სურათით? როცა ადამიანი იცვლის გარეგნობას და ამის გამო მას ექმნება პრობლემა, მაგალითად, ბანკში არ მისცემენ რალაცას, ან საზღვარს ვერ გადაკვეთავს, ამ შემთხვევაში ხომ მიდის ის ადამიანი და იღებს ახალ პირადობის მოწმობას? სიაში კი ის სურათი იქნება, რომელიც ბოლოს დაიდო სამოქალაქო რეესტრში. ასეთი სია იქნება იქ. როდესაც ადამიანი მიდის, საბუთს წარადგენს, იქაც ხომ ჩაკრულია ფოტოსურათი? კომისიის წევრი, ვინც იქ ზის, რეგისტრატორი, დამკვირვებლები, ვინც იქ არიან, ისინი შეადარებენ ამ ადამიანის სახეს ამომრჩეველთა სიაში არსებულ სურათს.

**— და გინდათ თქვათ, რომ არჩევნებისას, როცა ზოგჯერ რიგებია ხოლმე, ამის ნებისყოფა ეყოფა ვინმეს, ყველა დეტალურად გააკონტროლოს?**

– თუ თქვენ არ გინდათ გაკონტროლება და უბანზე ხართ, მაშინ არ გააკონტროლებთ, მაგრამ ვინც დაინტერესებულია იმაში, რომ „კარუსელები“ არ დატრიალდეს, ისინი ხომ მიაქცევენ ამას ყურადღებას. საარჩევნო უბანში, კომისიის წევრებს რომ თავი დავანებოთ, ყოფნის უფლება აქვს ყველა პარტიის მიერ დანიშნულ თითო დამკვირვებელს, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს და როგორ ფიქრობთ, მათ შორის ერთი-ორი მაინც არ აღმოჩნდება ისეთი, ვინც იქნება დაინტერესებული, რომ სხვამ თავის სასარგებლოდ არ გააყალბოს არჩევნები.

**— ყველამ კარგად ვიცით, წინა არჩევნებზე რამდენი გაყალბებული პირადობის მოწმობა იყო გამოყენებული. ამ არჩევნებზე ამას როგორ გააკონტროლებთ?**

– ანუ ეს ყალბი პირადობები როგორ კეთდებოდა, მივყვეთ. მაგალითად, მე ვიცოდი, გამოკვლეული მქონდა, რომ ასი კაცი საზღვარგარეთ არის სამუშაოდ წასული და ვიცი, რომ არ ჩამოვლენ. მზადდებოდა პირადობის მოწმობა, სადაც ეწერა იმ ადამიანის ყველა მონაცემი, სწორი მონაცემი, ოღონდ პირადობის მოწმობაში ჩაკრული იყო ჩემი ფოტოსურათი. ასეთი ათი ცალი პირადობის მოწმობა მქონდა. მე მივიდოდი საარჩევნო უბანზე ერთზე, მეორეზე, მეათეზე იქ უყურებენ სახელი გვარი წერია, ყველაფერი სწორია, ფოტოსურათზე მე ვარ. ასეთი რამ ახლა ველარ მოხდება, იმიტომ რომ ამომრჩეველთა სიაში მხოლოდ ის ფოტოსურათი იქნება, რომელიც არის სამოქალაქო რეესტრში.

**— საარჩევნო სიები რომ არასრულყოფილია, ამაზე დიდი ხანია მიდის საუბარი. სია არც რეესტრში იქნება სრულყოფილი, ხომ ასეა?**

– გარწმუნებთ, ეს სია უკვე მაისისთვის გაწმენდილი იქნება ყველა გაორებისგან. ამის მერე რა მოხდება, აგიხსნით. თუკი რომელიმე პირმა ეჭვი შეიტანა, რომ ეს ის კაცი არ არის, რომელიც სიაშია, მაშინ ის მოიწვევს საუბნო კომისიის თავმჯდომარეს, ისიც შეამოწმებს ამას და თუკი თავმჯდომარეც მიიჩნევს, რომ ეს მართლაც სხვა ადამიანია, მაშინ გამოიძახებენ პოლიციას და ამ პირს გადასცემენ მათ ვინაობის დასადგენად. ხომ შეიძლება შეცდნენ უბანზე, ერთსაც შეეშალა, მეორესაც, მესამესაც, პოლიცია რომ შეამოწმებს ამ პირის ვინაობას, რაც საკმაოდ ადვილი დასადგენია, მაგალითად, მივა ამ ადამიანის საცხოვრებელ ადგილას და თუნდაც მის მეგობრებს ჰკითხავს. ამას არ დასჭირდება დიდი დრო, რადგან უბანში ამომრჩეველთა რაოდენობა 1500-ზე მეტი არ არის, რაც დაახლოებით ერთი-ორი კვარტალია. ამიტომ შემოწმებას დასჭირდება ცოტა დრო. ისიც გასათვალისწინებელია რამდენი ადამიანი შეიძლება იყოს ასეთი მთელ საქართველოში და გაანაწილეთ უბნებზე. ეს ყველაფერი გაანგარიშებულია. თუ პოლიციამ დაადგინა, რომ მაგალითად, პიროვნებას ცხვირის ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული, პირადობა არ გამოუცვლია და ნამდვილად ის ადამიანია, ის გასცემს სათანადო ცნობას, რომელთან ერთადაც ამ ადამიანს დააბრუნებენ საარჩევნო უბანში და პატიოსნად მისცემს ხმას. მაგრამ თუ პოლიციამ დაადგინა, რომ ეს სხვა პირია და თავს სხვა პირად ასაღებდა, მაშინ უკვე აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე და ამ პირს ორ წლამდე ვადით მოათავსებენ ციხეში.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ისნის რაიონის გამგებელი პოლიტიკურ ზეწოლაზე საუბრობს

ისნის რაიონის გამგებელი თორნიკე ხუციშვილი პოლიტიკურ ზეწოლაზე საუბრობს. გამგეობის ცნობით, თბილისის ანძის გარეგანათების გათიშვის საქმესთან დაკავშირებით, მთავარ პროკურატურაში დაკითხვაზე დაიბარეს თბილისის ხუთი რაიონის გამგებელი, კერძოდ, ისნის გამგებელი თორნიკე ხუციშვილი, ჩუღურეთის გამგებელი დავით დაღელაშვილი, კრწანისის გამგებელი ხათუნა ბერძენიშვილი, გლდანის გამგებელი ნოდარ სანდუხაძე და დიდუბის გამგებელი ლევან მხეიძე.

ისნის რაიონის გამგეობის ინფორმაციით, გამგებლებმა, პროკურატურაში მათი ხელმეორედ დაბარება პოლიტიკურ ზეწოლად შეაფასეს და მოახლოებულ თვითმმართველობის არჩევნებს დაუკავშირეს.

თორნიკე ხუციშვილის განცხადებით, დაკითხვის თემა ანძის გარეგანათების ჩაქრობა უნდა ყოფილიყო, თუმცა პროკურატურის თანამშრომლები დაინტერესდნენ, სად იყო ამ დროს ხუციშვილი, რომელ საათზე მივიდა მერიაში და ა.შ.

„პროკურატურას ანძის ჩაქრობასთან დაკავშირებით კითხვები არ დაუსვამს, მათ აინტერესებდათ ისეთი დეტალები, როგორიცაა: თუ სად გადავადგილდებოდი ამ დღეს, რომელ საათზე ვიყავი მერიაში და აშ. ეს იყო დეტალები, რასაც მეკითხებოდნენ, მაგრამ შინაარსობრივი მხარე არის, რა თქმა უნდა, მოახლოებული თვითმმართველობის არჩევნები. ეს ცალსახად პოლიტიკური ზეწოლაა მოახლოებული არჩევნების დროს. პროკურატურაში ჩვენი სიარული არის აბსურდული და უშინაარსო. ჩვენ აქამდეც ვიყავით დაბარებული აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მაშინ ამომწურავი პასუხი გავეცით“, – განაცხადა ხუციშვილმა.

თბილისის ტელეანძაზე განათება 20 იანვარს გაითიშა. შესაბამისი გადაწყვეტილება თბილისის მერიამ მიიღო. გარეგანათება იმავე დღეს ჩაირთო. (ინტერპრესნიუსი)

## შემოდგომიდან სანომრე ნიშნების დიზაინის შეცვლა იგეგმება

რუსთავში, შსს-ს მომსახურების სააგენტოში ახალი დიზაინის სანომრე ნიშნების პრეზენტაცია გაიმართა. შსს მომსახურების სააგენტო, 2014 წლის შემოდგომიდან, სატრანსპორტო საშუალებებზე ევროსტანდარტების მიხედვით სანომრე ნიშნების ფორმისა და დიზაინის შეცვლას გეგმავს.

სხვადასხვა ტიპის სანომრე ნიშნების არსებული ფასი ახალ სანომრე ნიშნებზეც გავრცელდება. სააგენტო მათ, ვისაც ფასიანი სანომრე ნიშნები აქვს აღებული, ძველი სანომრე ნიშნის იგივე ფასიან ახალ სანომრე ნიშანში გადაცვლას დამატებითი გადასახადების გარეშე სთავაზობს.

როგორც პრეზენტაციაზე აღინიშნა, საქართველოს ავტოპარკის მოთხოვნების გათვალისწინებით, ამერიკის შეერთებული შტატებიდან და იაპონიიდან იმპორტირებული ავტომობილებისთვის მომხმარებელს საშუალება ექნება, აიღოს და ავტომობილზე განათავსოს შესაბამისი ზომის კვადრატული სანომრე ნიშნები.

ცვლილებები შეეხებათ მისაბმელ სატრანსპორტო საშუალებებსაც. მომსახურების სააგენტო განახლებული დიზაინის სანომრე ნიშნების დამზადება-შესყიდვის მიზნით საერთაშორისო ტენდერს გამოაცხადებს. მასში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც ქართულ, ისე უცხოურ კომპანიებს. სატენდერო პირობები ქართულ და ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდება. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



## თბილისის ბიუჯეტის საკითხს 7 მარტს განიხილავენ



საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – თბილისელების" თავმჯდომარის გულიკო ზუმბაძის განცხადებით, 28 თებერვლის დათარიღებით საკრებულოში უკვე მეოთხედ შევიდა თბილისის მერიის ბიუჯეტის პროექტი.

„ჩვენ ვმუშაობთ ამ ბიუჯეტის პროექტზე. მუშაობენ შესაბამისი კომისიები, ფრაქციები. ის, რაც აქამდე ვნახეთ, ძალიან დიდი წილი ჩვენი მოთხოვნებისა ნამდვილად არის გათვალისწინებული. როდესაც დავასრულებთ ბიუჯეტის პროექტის ბოლომდე შესწავლას, შეგვიძლია, განცხადება გავაკეთოთ მასთან



დაკავშირებით. მე ყოველთვის მქონდა მოლოდინის განცდა, რომ შევძლებდით ჩვენ, საკრებულოც, მერიაც შეჯერებული ბიუჯეტის მიღებას. ფაქტობრივად, მივდივართ აქამდე. თუ რამემ, სხვა გარემოებებმა არ შეუშალა ხელი, მე ვფიქრობ, ბიუჯეტის პროექტი შეიძლება უკვე დაექვემდებაროს მიღებას, საკრებულოს უმრავლესობის მხრიდან იყოს მოწონებული. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები", – აღნიშნა ზუმბაძემ.

მისივე თქმით, 7 მარტს ჩანიშნულია რიგგარეშე სხდომა. დღის წესრიგით გათვალისწინებულია ბიუჯეტის პროექტის განხილვა-დამტკიცების საკითხი.

საკრებულომ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტი სამჯერ ჩააგდო. კანონის თანახმად, დედაქალაქის ახალი, 2014 წლის ბიუჯეტის განხილვა 11 მარტამდე უნდა მოხდეს. (ინტერპრესნიუსი)

# გიგი უგულავამ თავის მომხრეებს ადეიშვილის „ჩაშვება" დაავალა



**თბილისის მერიაში პოლიტიკური გველების გამოფენა მოეწყო, საგანგებო ბრიფინგზე, ნაცსექტის ვიცე-მერმა და გამგებლებმა განაცხადეს, რომ თბილისის მერიაში შემოსულია ფინანსური პოლიცია, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველო, მთავარი პროკურატურა და თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისია, რომელიც ერთდროულად რამდენიმე სამსახურს ამოწმებს.**

**ფინანსთა მინისტრი, მეტსახელად „ლარიჭამია ნოდარი", მყისიერად გამოეხმაურა ნაცების გამგებლებს და განმარტა, „ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური მუშაობს იმ კონტრაქტორ კომპანიებთან, რომლებზეც გვაქვს ეჭვი, რომ მონაწილეობდნენ იმ გარიგებაში, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების მითვისებაშია ეჭვმიტანილი. ამიტომ ასეთ კომპანიებს საგადასახადო და საგამოძიებო სამსახურები ამოწმებდა და შეამოწმებს კიდეც. ეს პროცესი იქნება ღია. ეს არის მხოლოდ და მხოლოდ ფისკალური ქმედებები და ეს სხვა მიზანს არ ემსახურება, გარდა იმისა, რომ მოხდეს მოპარული ფულის უკან დაბრუნება"**

**იმედია, უკან დაბრუნებული ფულით ფინანსთა „ლარიჭამია" მინისტრი ნოდარ ხადური რესტორანში საკუთარი მუცლის ამოყორვასა და ზურნა-დუდუკში არ გაფლანგავს. ნოდარ, ისე კი, ილოცე, ადგილობრივი არჩევნების შემდეგ შენც არ ჩაგაყუდონ, კულუარებიდან ინფორმაციები მომდის, ნოდარ ხადურს არჩევნების შემდეგ ხსნიანო.**

**და მაინც, რა ხდება თბილისის მერიაში? აი, რას გვიყვება საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე მიშა ქავთარაძე:**

– ბოლოს შევამოწმეთ ზედამხედველობის საქალაქო სამსახური. საზოგადოებამ იცის, რომ ეს იყო გიგი უგულავას სადამსჯელო მანქანა, ორმაგი სტანდარტებით. იყო ხალხი, რომლებიც წლების განმავლობაში ნებართვებს ვერ იღებდა, თუ ისინი არ იყვნენ „ნაცმოძრაობის" აქტიური მხარდამჭერები, თავისი მომხრეებისთვის კი ყველაფერს აკეთებდნენ. საბუთები რომ შევისწავლეთ, აბსოლუტური ანარქიაა, პასუხი უნდა აგოს ყველამ, ვინც ზედამხედველობის სამსახურში არის თანამდებობაზე. ორი დღის წინ ჩვენ უკვე შევუშვით ახალი ჯგუფები მერიის შესყიდვების სამსახურში, კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურში, კულტურის ცენტრში, რომელსაც ნეკა სებისკვერაძე ხელმძღვანელობს. ასევე, მერიის საფინანსო-საქალაქო სამსახურში. ჩვენ შევისწავლით 2010 და 2011 წლების მოღვაწეობას, ეს არის ზუსტად საარჩევნო პერიოდი. ჩვენი ეჭვებით, ძალიან დიდი საბიუჯეტო თანხა გამოიყენებოდა არჩევნებზე პარტიის სასარგებლოდ. ეს არის მხოლოდ ეჭვი და დადასტურების შემდეგ, საზოგადოებას წარვუდგენთ დასკვნას. თვენახევრის შემდეგ ჩვენ გვექნება უკვე დასკვნები დაწერილი. ჩვენ შევამოწმეთ აქტივობები 2012 წლის განმავლობაში, აღმოჩნდა მნიშვნელოვანი დარღვევები. ადმინისტრაციული და ფინანსური მანქანა მთლიანად ხმარდებოდა „ნაციონალურ მოძრაობას", კოორდინატორების დაფინანსებას, განსაკუთრებული აქტივობები ფიქსირდებოდა საარჩევნო კამპანიის დროს. ფაქტობრივად, ხალხის ფულს საკუთარი პარტიისთვის იყენებდნენ.

*გაგრძელება მეოთხე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## შეიძლება ძალიან სერიოზული პასუხი გაეცეს რუსეთის აგრესიას



საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლის, გიგი წერეთლის განცხადებით, „დღეს არ არსებობს სხვა უფრო მნიშვნელოვანი საკითხი, ვიდრე უკრაინაში მიმდინარე პროცესია. არ შეიძლება განსხვავებული აზრი იყოს იმ მოქმედებების შეფასებაში, რაც რუსეთმა განახორციელა – ეს არის ღია აგრესია, უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა. ამ სტრატეგიით, ამავე მეთოდოლოგიით, უბრალოდ, შეიძლება ოდნავ განსხვავებული მიზეზით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა ჯერ უნგრეთის ოკუპაცია, შემდეგ ჩეხოსლოვაკიის, შემდეგ ავღანეთის, მერე მოლდოვას, მერე საქართველოს და ახლა იგივე ხდება უკრაინაში. არც ერთ შემთხვევაში რუსეთს არ გაეცა საკადრისი პასუხი და ვერ გადაიხადა ის ფასი, რაზეც დღესაა საუბარი. ამიტომ დღეს ვართ ისტორიული პერიოდის მომსწრენი, როცა შეიძლება პირველად ძალიან სერიოზული პასუხი გაეცეს რუსეთის ამ აგრესიას. საბედნიეროდ, დღეს მთელი მსოფლიო არის მობილიზებული გაცილებით მეტად და არის გაცილებით კონსოლიდირებული, რომ რუსეთს მოსთხოვოს პასუხი და შეაჩეროს მისი მოქმედებები, რაც საქართველოს შემთხვევაში ამ მასშტაბით ვერ განხორციელდა, თუმცა ამან გარკვეული დასკვნები გამოატანინა ალბათ, ყველას და დღეს გაცილებით მეტ პერსპექტივას ვხედავთ იმისა, რომ სანქციებით, რუსეთის იზოლაციით, რაც ვფიქრობთ, აუცილებელია ამ სიტუაციაში, მოხდეს ოკუპაციის შეჩერება", – განაცხადა წერეთელმა. (ინტერპრესნიუსი)

## პუტინი ნობელის პრემიაზე წარადგინეს



რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი მშვიდობის დარგში 2014 წლის ნობელის პრემიაზე წარდგენილ კანდიდატთა შორისაა ნომინირებული. ინფორმაციას ამის შესახებ „როიტერი" ავრცელებს და აღნიშნავს, რომ უკრაინაში არსებული კონფლიქტი, სავარაუდოდ, ნობელის პრემიის დღის წესრიგში დადგება.

ნორვეგიის ნობელის ინსტიტუტის დირექტორის, გეირ ლუნდესტადის განცხადებით, მიმდინარე წელს მშვიდობის დარგში ნობელის პრემიაზე რეკორდული რაოდენობის – 278 კანდიდატია წარდგენილი, მათ შორის – 47 ორგანიზაცია. მშვიდობის დარგში 2014 წლის ნობელის პრემიის კანდიდატთა შორის დასახელებული არიან აშშ-ის დაზვერვის ყოფილი კონტრაქტორი ედვარდ სნოუდენი, პაკისტანელი აქტივისტი და უფლებადამცველი, 16 წლის მალალა იუსუფზაი და რომის პაპი ფრანცისკი. კომიტეტმა კანდიდატთა სია შეამცირა, აპრილის ბოლოსთვის კი ამ ნუსხას 10 კანდიდატამდე დაიყვანენ.

2014 წლის ნობელის პრემიის გამარჯვებული ოქტომბერში გამოვლინდება. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საქართველო გაჩერდა?



„ნაციონალი დეპუტატის", ნუგზარ წიკლაურის განცხადებით, საქართველო გაჩერდა მთავრობის არაკომპეტენტურობის, უნიათობისა და უმოქმედობის გამო.

„უკრაინასა და საქართველოს შორის, ცხადია, ბევრი პარალელის გავლება შეიძლება. მთავარი კითხვა ისაა, რამ მიიყვანა უკრაინა აქამდე? უკრაინა აქამდე მიიყვანა რუსმა ოლიგარქმა იანუკოვიჩმა, რომლის მმართველობის გამოკვეთილი ნიშნები იყო, ერთი მხრივ, პოლიტიკური ოპონენტების დევნა და მეორე მხრივ, კორუფცია, უუნარობა და უნიათობა ეკონომიკური და სხვა საკითხების გადაწყვეტაში. სწორედ ეს არის სამწუხარო პარალელი საქართველოსთან და მე ძალიან ვწუხვარ, რომ კვლავ მიხდება განცხადების გაკეთება პოლიტიკური დევნის შესახებ. რამდენიმე დღის წინ ჩვენ ვიყავით გარდაბანში, სადაც „ქართული ოცნების" რამდენიმე წარმომადგენელი თავს დაესხა ჩვენი პოლიტიკური კონფერენციის მონაწილეებს. საგულისხმოა, რომ პოლიციიდან გამოსული ეს ადამიანები, პირდაპირ გაემართნენ ადგილობრივი თვითმმართველობის შენობისკენ, სადაც შეხვედრა ჰქონდათ გამგებელთან და მის მოადგილესთან. არ მინდა, უსამართლო ვიყო და არ აღვნიშნო ის განცხადება, რომელიც „ქართულმა ოცნებამ" გააკეთა, მაგრამ ძალიან მინდა მჯეროდეს, რომ ეს მხოლოდ სიტყვები არ არის და საქმე მოჰყვება", – განაცხადა წიკლაურმა. (ინტერპრესნიუსი)

## რუსეთი ევროპულ და ამერიკულ კომპანიებს ემუქრება

რუსეთის ფედერაციის საბჭო ევროკავშირის ქვეყნებისა და ამერიკული კომპანიების აქტივების კონფისკაციის კანონპროექტს ამუშავებს. კანონპროექტის ავტორის, ანდრეი კლიშასის განცხადებით, იურისტები ზედმიწევნით სწავლობენ საკითხს, რამდენად შეესაბამება ასეთი ზომების მიღება რუსეთის კონსტიტუციას. მისივე თქმით, ნებისმიერი სანქციების ორმხრივი უნდა იყოს. ზემოხსენებულ სანქციებს რუსეთი მხოლოდ მის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციების შემთხვევაში აამოქმედებს. (ინტერპრესნიუსი)

# გიგი უგულავამ თავის მომხრეებს ადეიშვილის „ჩაშვება“ დაავალა

*მესამე გვერდიდან*

**— თბილისის მერიამ გამართა საგანგებო ბრიფინგი. განაცხადეს, რომ თბილისის მერიაში შემოსულია ფინანსური პოლიცია, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველო, მთავარი პროკურატურა და თბილისის სარევიზიო კომისია, რომელიც ერთდროულად სამსახურს ამოწმებს. ნოდარ ხადურმა კი განმარტა, რომ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური მუშაობს იმ კონტრაქტორებთან, რომლებზეც სამინისტროს ეჭვი აქვს, რომ ბიუჯეტის სახსრების მითვისებაში მონაწილეობდნენ.**

– შემოწმების ანალიზი გავაკეთეთ, ჩვენ არ ვართ საგამოძიებო ორგანო, მნიშვნელოვანი დარღვევების შესახებ მასალებს გადავუგზავნით საგამოძიებო უწყებას. აქამდე ფინანსური პოლიცია და პროკურატურა სწავლობდა მერიის საქმიანობას, მოგეხსენებათ, არაერთი დანაშაულებრივი ფირმა ამოვარდა ამ ხნის განმავლობაში, რაზედაც „ალიასთან“ გვქონდა საუბარი რამდენიმე ხნის წინ. შესაბამისად, თუ რამე დარღვევა არის, უნდა აგონ პასუხი, პროკურატურას ისედაც ჰქონდა კითხვები სარევიზიო კომისიასთან, რადგან ემთხვევა ბევრი ფაქტი. ბუნებრივია, ყველა დარღვევას გადავუგზავნით მთავარ პროკურატურას.

**— ყველაზე სკანდალური ფაქტი, რაც თქვენმა კომისიამ აღმოაჩინა, რა არის?**

– კონკრეტულ ფაქტს ვერ გამოვყოფ, რადგან საქმე გვაქვს სისტემურ დარღვევებთან, ეს არის ფაქტი, თუ როგორ გამოიყენებდა გიგი უგულავა საბიუჯეტო სახსრებს. დარღვევაა თუნდაც ის, როდესაც არსებობს ჩრდილოვანი ბიუჯეტი „მერიის განვითარების ფონდში“. იქ არის ასეთი სქემა, – ქონების მართვა, თბილისის განვითარების ფონდს აძლევს მნიშვნელოვან ქონებას საკმაოდ ძვირადღირებულს. ეს არის ალმაშენებლის გამზირზე ფართები, ამის შემდგომ ეს ფართი იყიდება „თბილისის განვითარების ფონდის“ მიერ. შემოსული თანხა არ აისახება ბიუჯეტში, ფული ილექება ფონდის ანგარიშებზე. მოკლედ, საქმე გვაქვს ერთ დიდ სქემასთან, მუშაობდნენ იმ კუთხით, როგორ მოეპარათ ფული ბიუჯეტიდან და როგორ გამოეყენებინათ ეს ფული საარჩევნო კამპანიისთვის. ამ ადამიანებს დღეს საკუთარი კორუფციული დანაშაული პოლიტიკურ სიბრტყეში გადაჰყავთ და ტანჯულის მანტიას ირგებენ, თითქოს მათზე პოლიტიკური ზეწოლა ხორციელდება. მაგრამ ცხადია, ეს ასე არ არის, პირდაპირ ვამბობ, 9 წლის განმავლობაში თბილისის მერია იყო დანაშაულებრივი სინდიკატი, რომელსაც ხელმძღვანელობდა თბილისის ყოფილი მერი, აწ უკვე ბრალდებული გიგი უგულავა და ეს ადამიანები ასრულებდნენ მის დავალებას.

ქონების მართვის საქალაქო სამსახური, რომელიც ყველაზე ჩაკეტილი სისტემა იყო, ემორჩილებოდა მხოლოდ გიგი უგულავას და ზურაბ ადეიშვილს. ყველა საკითხი, რომელიც ქონების მართვაში წყდებოდა, გადიოდა იუსტიციის მაშინდელ მინისტრთან და თბილისის მაშინდელ მერთან. თქვენ კარგად იცით, რომ უამრავი მიწა გაიყიდა უკანონოდ, კანონდარღვევით გასხვისდა ქონება და ეს ყველაფერი უკავშირდება ამ ადამიანებს. „თბილსერვისის“, „თბილისის განვითარების ფონდის“ თემები კონტროლდებოდა უგულავას მხრიდან. უგულავამ პირდაპირი განკარგულება გასცა, ექვმიტანილებსა და მოწმეებს დაებრალებინათ ყველაფერი ზურაბ ადეიშვილისთვის და თვითონ სუფთად გამოსულიყო ამ თემიდან, იბარებდა და ავალებდა, – დაადეთ ხელი ადეიშვილს და თბილისის განვითარების ფონდის მაშინდელ ხელმძღვანელს გიორგი საბანაძეს, ისინი მაინც გაქცეულები არიან, მათ პოლიტიკური თავშესაფარი აქვთ... გახსოვთ, ალბათ, ე.წ. პლასტიკური ბარათებისა და ფონდის თემებთან დაკავშირებული ადამიანები, ამ ადამიანებს უგულავა პირდაპირ ავალებდა, რომ დანაშაული დაებრალებინათ ადეიშვილისთვის, მე კი პირდაპირ ვამბობ, რომ ზურაბ ადეიშვილი თბილისის პარტიულ საქმიანობაში არ ერეოდა, პარტიის დავალებებს აძლევდა მერი გიგი უგულავა. რაც შეეხება ადეიშვილს, ის სამეულში შედიოდა და ბუნებრივია, მის გარეშე არაფერი არ ხდებოდა, ერთი კვადრატული მიწაც კი არ იყიდებოდა და მისი ლეგალიზებაც კი არ ხდებოდა. მაგრამ სიმართლე უნდა ვთქვა, რომ უშუალო დავალებების გამცემი იყო გიგი უგულავა, ის იყო პარტიული ორგანიზაციის თავმჯდომარე და თბილისის მერი. საზოგადოება სიმართლეს მალე გაიგებს და სასამართლო შესაბამის განაჩენს გამოიტანს.



**— გიგი უგულავა თბილისის „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარედ ისევ რომ აირჩიეს, რის გაკეთებას გეგმავს, ხომ არ იცით?**

– რას აპირებს და სიის პირველ ნომრობას. გახსოვთ, ალბათ, ორი კვირის წინ ჩავატარე ბრიფინგი და ვთქვი, რომ თბილისის მერობის კანდიდატი არ იქნებოდა გიგი უგულავა, დასახელებული იყო ვაშაძე და მიდიოდა მეორე კანდიდატის მოძებნაც. თქვენ ნახეთ, რომ მთაწმინდის გამგებელი ნიკა მელია დაასახელეს მეორე კანდიდატად. უგულავას პარტიული აქტივი უკვე აღარ გააჩნია, ყველაფერს აკეთებს, თავის დელეგატებს, რომლებიც მხოლოდ გამგეობის თანამშრომლები არიან, დავალებას აძლევს, რომ პრაიმერისში ჩაძირონ ვაშაძე, იქ მიმდინარეობს შიდა დაპირისპირება, ვაშაძე არის უგულავას კონკურენტი. კონკრეტულად ვაშაძე-საყვარელიძის დაჯგუფება არის უგულავა-ბოკერია-თარგამაძის დაჯგუფების სერიოზული კონკურენტი. „ნაციონალური მოძრაობიდან“ მაქვს ინფორმაცია, რომ საბოლოოდ უნდა მოისპოს გიორგი ვაშაძის ამბიციები და მერის კანდიდატად უნდა დადგეს ნიკა მელია. სიის პირველი ნომერი გახდება უგულავა, ლაპარაკია, რომ პირველ ხუთეულში მოხვდებიან ირაკლი აბესაძე, სევდია უგრეხელიძე, არის საუბარი, რომ შესაძლოა გიგა ბოკერიაც აღმოჩნდეს ამ სიაში, თუმცა ბოკერიაზე კითხვის ნიშნებია, ფიქრობენ, რომ არსებული რეიტინგებით 5 კაცს მაინც გაიყვანენ თბილისის საკრებულოში, რომლის ფრაქციის თავმჯდომარეც იქნება გიგი უგულავა, სიის პირველი ნომერი. ეს არის მათი გეგმა. უგულავა იტყუებოდა როცა ამბობდა, მერის არჩევნებში ვაპირებდი კენჭისყრას და ამიტომ შემიჩერეს უფლებამოსილებაო. უგულავამ კარგად იცის, რომ თბილისის არჩევნებს ვერ მოიგებდა.

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

# რა საკითხებზე შედგა მწვავე საუბარი პატრიარქსა და შტეფან ფულეს შორის?

„ალია“ უკვე წერდა, რომ საქართველოში ვიზიტად მყოფმა ევროკომისარმა შტეფან ფულემ ერთ-ერთ ბრიფინგზე განაცხადა, რომ ევროკავშირი საქართველოსგან ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას არ ითხოვს და გვარწმუნებს, რომ დასავლეთის სურვილი არ არის, საქართველოს თავს უცხო ქვეყნის ფასეულობები მოახვიოს, ვინაიდან საქართველოს თავისი ტრადიციები და ფასეულობები გააჩნია და ამის არავის უნდა ეშინოდესო.

ამის შემდეგ ის კათოლიკოს-პატრიარქს შეხვდა დახურულ კარს მიღმა. რა საკითხებზე ჰქონდა მწვავე პოზიცია უწმინდესს და რა ვალდებულება აიღო საქართველოს მთავრობამ ევროკავშირის წინაშე, რამაც უწმინდესი გაანაწყენა?

წყარო, რომელიც უწმინდესს პირადად ესაუბრა ფულესთან შეხვედრის შემდეგ „ალიას“ უყვება, რომ უწმინდესსა და ევროკომისარს შორის მწვავე საუბარი შედგა. წყაროს თქმით, უწმინდესი ბოლომდე იცავდა ქართველი საზოგადოების ინტერესებს და ევროკომისარს არწმუნებდა, რომ ქართველი ერისთვის ევროპული ღირებულებები მიუღებელი არ არის, თუ ის არ ეწინააღმდეგება ტრადიციულ ღირებულებებს.



„უწმინდესი ბოლომდე იცავდა ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილის სურვილს, რომ არ მოხდეს ტრადიციული ღირებულებების ჩანაცვლება სხვა ქვეყნის ღირებულებებით. შტეფან ფულემ უთხრა პატრიარქს, რომ თუნდაც არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის პირების უფლებების დაცვა და მათი პირადი ცხოვრების თავისუფლება ტოლერანტობის მაჩვენებელია, თორემ არავინ არ გაიძულებთ, უარი თქვათ ტრადიციებზე და დააკანონოთ ერთსქესიანთა ქორწინებაო“. – ამბობს წყარო.

უწმინდესს შეხვედრაზე კრიტიკული პოზიცია დაუფიქსირებია ხელმოწერილი პარაფირებული დოკუმენტის რამდენიმე პუნქტთან დაკავშირებითაც. პატრიარქს პირდაპირ უთქვამს ევროკომისრისთვის, რომ ქართველი საზოგადოებისთვის მიუღებელია ის, რაც წერია დოკუმენტში, რომელიც რეგიონული ენების აღიარების საკითხს და ე.წ. პარალელურ მთავრობას ეხება.

„უწმინდესისთვის პარაფირებული დოკუმენტის ტექსტი მთლიანად არ არის ცნობილი, მაგრამ მან იცის რამდენიმე პუნქტის შესახებ. მაგალითად, ის, რომ საქართველომ უნდა გადაჭრას თურქი-მესხების საკითხი, დოკუმენტში წერია რეგიონალური ენების შესახებაც, რომ ეს უნდა იყოს მოგვარებული, სწორედ ამას ეწინააღმდეგება უწმინდესი. საუბარი იყო პარაფირებული დოკუმენტში კიდევ ერთ პუნქტზე, რომელიც ევროკავშირის კომისიის მუშაობას შეეხება. ამაზე უწმინდესს მკვეთრად უარყოფითი პოზიცია აქვს და წინააღმდეგია. მან ეს პოზიცია ევროკომისართანაც დააფიქსირა. საქმე ეხება ევროკავშირის კომისიის მუშაობას, რომელიც განგვისაზღვრავს ცხოვრების წესს და ეკონომიკურ საკითხებს, თუმცა სინამდვილეში ეს კომისია პოლიტიკას განგვისაზღვრავს. ეს კომისია საქართველოსთვის პარალელურ მთავრობად ითვლება და სწორედ ამის გამო ჰქონდა უარყოფითი პოზიცია უწმინდესს. პატრიარქს მიაჩნია, რომ ნებისმიერი რჩევა უნდა იქნას გაზიარებული საქართველოს ხელისუფლების მიერ, თუმცა არც პოლიტიკა და არც ეკონომიკური პოლიტიკა სხვამ არ უნდა დაგეგმოს საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლების მაგივრად“. – ყვება წყარო.

წყაროსვე თქმით, როდესაც ისრაელმა მოახდინა დოკუმენტის პარაფირება ევროკავშირთან, მათ ამოიღეს ევროკავშირის კომისიის, ანუ ე.წ. პარალელური მთავრობის პუნქტი და უარი თქვეს ორგანიზაციისთვის უფლების მინიჭებაზე, განესაზღვრათ მათი ეკონომიკური პოლიტიკა. ქართულ მხარეს კი ამ პუნქტზე უარი არ უთქვამს, თუ რატომ, მიზეზი ჯერჯერობით უცნობია. პარაფირებული დოკუმენტის ამ პუნქტზე საუბარი, სავარაუდოდ, აქტუალური მას შემდეგ გახდება, რაც ათასგვერდიანი დოკუმენტის ტექსტი გასაჯაროვდება და საზოგადოებრივი ინსტიტუტები მის განხილვას დაიწყებენ.

შორენა გოგოლაძე
599 22 75 27

# ცესკოს ქმედებებით არჩევნებს „ნაციონალები" მოიგებენ?

## „იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია" ბრალს სდებს

არასამთავრობო ორგანიზაცია „იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორიის" წარმომადგენელმა, გრიგოლ გაგნიძემ „ფეისბუკის" საკუთარ გვერდზე ასეთი განცხადება განათავსა: „საოლქო კომისიის ვადაგასული წევრების გამო ცესკომ გამოაცხადა კონკურსი ვაკანტური ადგილების შესავსებლად. გამარჯვებული უნდა გამოავლინოს ცესკომ თავისი შემადგენლობის უმრავლესობით. საარჩევნო კოდექსის მე-19 მუხლის თანახმად, ცესკო ზეპირსიტყვიერად ეუბნება კანდიდატებს, რომ კონკურსში უპირატესობა მიენიჭებათ მათ, ვინც არასდროს ყოფილა პარტიების მიერ დანიშნული საოლქო კომისიის წევრი. ამის შესახებ ოფიციალურად ცესკოს განკარგულება არ არის და არც რაიმე იურიდიული დოკუმენტი არსებობს, იმიტომ რომ ეს აშკარა კანონდარღვევა იქნება".

სიტუაციის გასარკვევად და დეტალების დასაკონკრეტებლად „ალია" **გრიგოლ გაგნიძეს** დაუკავშირდა:

**— ბატონო გრიგოლ, ხომ არ იცით, კანდიდატებს რას ეუბნებიან უარის გასამართლებლად, თუკი ოფიციალური დოკუმენტი არ არსებობს?**

– ვიცი. ჩვენ მოგვმართეს მოქალაქეებმა, რომლებსაც პარტიული გამოცდილება ჰქონდათ და უარი უთხრეს მუდმივმოქმედი კომისიის წევრებად დანიშვნაზე. მათგან ვიცი. აბსურდია იმის თქმა ცსკოს მხრიდან, რომ პარტიული ნიშნით არ ვნიშნავთო. აბა, როგორი ნიშნით უნდა დანიშნონ, პარტიული ნიშნით მქონე ადამიანებს უფრო მეტი გამოცდილება არ აქვთ?

**— რა არის იმაში ცუდი, რომ უპარტიო წევრები იყვნენ კომისიაში, უფრო მიუკერძოებლები არ იქნებიან?**

– აქ არა მარტო პარტიული გამოცდილება, არამედ საოლქო კომისიებში მუშაობის გამოცდილებაა აუცილებელი. მოქალაქეებმა, ვინც ეს ინფორმაცია მოგვაწოდეს, გვითხრეს, რომ ისინი წარსულში იყვნენ ცესკოს ოლქის კომისიის წევრები, რომლებიც ირჩევიან 5 წლის ვადით. ამჟამად ახლიდან დანიშნეს ისევ ის კადრები, რომლებიც დანიშნულნი იყვნენ „ნაცმოძრაობის" დროს. აბა, ვინ უნდა მიიღონ საოლქოში? ქუჩიდან ხომ არ უნდა აიყვანონ გამოუცდელები? ამით იმის თქმა მინდა, რომ ძალიან ტენდენციურად ხდება ოლქის კომისიის წევრების შერჩევა. შეიძლება ითქვას, ცესკო სრულად „ნაცების" კადრების გავლენის ქვეშ არის და სხვა პარტიის წარმომადგენლებს უარს ეუბნება. გვაქვს ინფორმაცია, რომ „ნაცმოძრაობა", გარკვეულწილად, ძველ პოზიციებსა და გავლენებს ინარჩუნებს ოლქებსა და ცესკოს კომისიებში.



**რამდენად საფუძვლიანია ბრალდება და როგორ ხდება საოლქო კომისიების თავმჯდომარეებისა და წევრების შერჩევა?**

ამის გასარკვევად ცესკოს პრესსპიკერს, **ეკა აზარაშვილს** მივმართეთ:

**— ეკა, როგორც მეუბნებიან, კონკურსის პარტიულ კანდიდატებს ზეპირსიტყვიერი უარით ისტუმრებთ. ასეა?**

– გასაგებია, რომ ცესკო ეუბნება, მაგრამ კონკრეტულად ვინ? ზოგადად, კონკურსი ცხადდება, შემოაქვთ კანონით განსაზღვრული დოკუმენტები და მერე კომისია ირჩევს მათ. ეს არ არის ერთპიროვნული გადაწყვეტილება რომელიმე წევრის ან თავმჯდომარის. საჯარო სხდომაზე მოხდება კომისიის წევრების დანიშვნა. რაც შეეხება თქვენს კითხვას, მე არ ვიცი, ამას ვინ ეუბნება მათ, მაგრამ ასეც რომ იყოს, გასაოცარიც არ იქნებოდა. ჩვეულებრივი მომენტია, რომ ეს ადამიანები პროფესიული ნიშნით იქნან არჩეული. თუ უფლებამოსილია პარტია, მას აქვს უფლება, კანონით განსაზღვრულ დროში, ანუ არჩევნების დანიშვნის შემდეგ, წარმოადგინოს თავისი სასურველი კანდიდატი საოლქო კომისიის წევრად და დანიშნოს ისინი, განსხვავებით პროფესიული ნიშნით დანიშნული წევრებისა. ეს ადამიანები კონკურსით აირჩევა. ამ ადამიანებმა პირველ რიგში, უნდა დააკმაყოფილონ ის მოთხოვნები, რომელიც კანონში წერია. შესაბამისად, აქ ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი მისი გამოცდილებაა. ძირითადად ეს არის სისტემა, როცა ერთი და პარტიის წევრები თვითონ ცესკოს შემადგენლობაში არიან, რომლებიც თავად იღებენ საოლქოების დაკომპლექტებაში მონაწილეობას. როცა საქმე ეხება ოლქის მუდმივ წევრებს, იქ გამოცდილებას მეტი მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა კომისიის გადასაწყვეტია, რომ, თუკი არის არჩევანი, არ აირჩიოს პარტიული ბეგრაუნდის მქონე ადამიანი. ჩვეულებრივი ამბავია ეს, მაგრამ თუ ადამიანს, რომელიც წარსულში იყო რომელიმე პარტიაში, შეიძლება იმხელა გამოცდილება ჰქონდეს საარჩევნო პროცესებში, რომ ასეთი ადამიანები აირჩიოს კომისიამ. არ მესმის, აქ პრობლემა სად არის? ბრალდების უფლება ყველას აქვს, მაგრამ ლოგიკური უნდა იყოს. კანონი თუ ითვალისწინებს პროფესიული ნიშნით არჩევას, მუდმივ წევრებად უნდა ვირჩევდეთ არაპარტიული ნიშნის მქონე ადამიანებს. ჩვენთვის იმიჯის თემა ძალიან მნიშვნელოვანია და ჩუმად არაფერს ვიზამთ.

და იგივე ადამიანები ტრიალებენ ხოლმე. ყველამ იცის ეს საარჩევნო ტექნოლოგიები როგორია, არჩევნებზე 2 თვის განმავლობაში დაახლოებით 50 000 ადამიანია ხოლმე ჩართული ამ პროცესებში. როგორ წარმოგიდგენიათ, როცა შემდეგი არჩევნები იქნება, შემდეგი 50 000 ადამიანი იქნება ჩართული? ეს არის სისტემა, სადაც ერთი და იგივე ადამიანები იტრიალებენ.

**— ანუ გამოდის, „ნაციონალების" დროს რომ კარგი გამოცდილება ჰქონდათ ადამიანებს, ვისი მეშვეობითაც არჩევნებს იგებდნენ, იგივე კადრების გამოყენებით „ნაციონალები" ისევ ისარგებლებენ?**

– საოლქო კომისიის წევრების არჩევის პროცესი არის გამჭვირვალე

**იცის თუ არა რამე ცესკოში მიმდინარე პროცესების შესახებ არასაპარლამენტო ოპოზიციამ, რომელიც დიდი ხანია საარჩევნო კომისიებში ადგილებს ითხოვს?**

**„ალია" ჯონდი ბაღათურიას დაუკავშირდა: „ვიცი მაგის შესახებ. ხელისუფლებას სურს, საოლქო და საუბნო კომისიები სხვა პოლიტიკური პარტიების გარეშე დატოვოს. მათ ჰყავთ 13 კომისიის წევრი, „ნაციონალებს" ჰყავთ და არ სჭირდებათ სხვები. ამიტომ ეუბნებიან ამ ხალხს უარს. ჩვენ ეს „კინო" ნანახი გვაქვს, მეგონა, რომ „ოცნებასაც" ნანახი ჰქონდა, მაგრამ, როგორც ჩანს, „კინო" მეორდება და ვნახავთ, რა შედეგსაც მივიღებთ".**

ჟანა ასანიძე

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ინტერფრაქციული ჯგუფი ფიქცია აღმოჩნდა




უმცირესობის წევრის მიხეილ მაჭავარიანის განცხადებით, საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ინტერფრაქციული ჯგუფი ფიქციად დარჩა, რადგან უმცირესობის წევრების შენიშვნები კოდექსთან დაკავშირებით გათვალისწინებული არ არის.

„არც ერთ საკითხზე, რაზეც ამ ჯგუფში საუბარი იყო, შეთანხმება არ შედგა. თვითმმართველობაში არაფერი სიახლე არ არის, პირიქით, გაუარესებულია რამდენიმე საკითხი. ხელოვნური ბარიერებია შექმნილი მერობის კანდიდატებისთვის, რადგან დაბალი იყოს კონკურენცია. ამავდროულად, გაუარესებულია ის საკითხები, რომელიც საქართველოში თვითმმართველობას მისცემდა უფრო მეტ რესურსს. ამ კოდექსის მიხედვით ჩვენი მოქალაქეები ვერაფერს ვერ მიიღებენ. პირიქით, მათი სერვისები გაუარესდება. ამ კოდექსით თბილისის მერის ფუნქციები დასუსტებულია და ნებისმიერი საქმის კეთება თბილისში თუ რაიონებში მნიშვნელოვან ბიუროკრატიულ ბარიერებს წააწყდება", – აცხადებს მაჭავარიანი. (ინტერპრესნიუსი)

## ვოლსკი „ნაციონალებს" პოლიტიკურ სპეკულაციაში ადანაშაულებს



პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისიის თავმჯდომარე, გიორგი ვოლსკი ოპოზიციას უკრაინის თემის პოლიტიკური სპეკულაციისთვის გამოყენებაში ადანაშაულებს.

„უკრაინაში რთული სიტუაციაა, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს გამოყენებული პოლიტიკური სპეკულაციისთვის, რისი ნიშნებიც არსებობს. ხდება უკრაინისგან იმ პლატფორმის შექმნა, საიდანაც შეიძლება პოლიტიკური დივიდენდების მიღება და შეტევის განხორციელება პოლიტიკურ ოპონენტზე და რატომღაც ჩვენ, ხელისუფლება, ჩაგვთვალეს იმ ობიექტად, რომელიც შეიძლება აკრიტიკო ამ შემთხვევაში, მაშინ როდესაც არც ვაშინგტონში, არც ბრიუსელში არანაირი შენიშვნა არა აქვთ იმასთან დაკავშირებით, რა პოზიციაც კი ოდესმე დაგვიკავებია საგარეო პოლიტიკის საკითხებში. ტელეშოუებმაც დაგვანახა ეს, როდესაც ჩვენი გუნდის წევრი 10-20-30 ადამიანის გარემოცვაში მოხვდა და აბსოლუტურად დაუსაბუთებელი, არასწორი შეფასებებით იქნა მასზე შეტევა მიტანილი. პოლიტიკური შოუს ნიშნები კიდევ გამოჩნდა", – განაცხადა ვოლსკიმ. (ინტერპრესნიუსი)

## დიდი მადლობა რჩევებისთვის...



პარლამენტის ვიცე-სპიკერს, ზურაბ აბაშიძეს უკრაინაში „ნაციონალური მოძრაობის" წევრებისა და პარტიის ლიდერის, მიხეილ სააკაშვილის აქტიურობა ანდაზას ახსენებს – „ძაღლი შინ არ ვარგოდა და სანადიროდ გარბოდაო".

„ერთ მხარეს არის მთელი ცივილიზებული სამყარო: ამერიკის შეერთებული შტატები, ევროკავშირი და საქართველო მათთან ერთად. ამას გამეორება, დამტკიცება არ სჭირდება, რადგან ნათელი და ცხადია. მეორე მხარეს არის რუსეთის ფედერაცია. არ ვიცი სახელმწიფო, რომელიც სოლიდარულია რუსეთისა და პუტინის მიმართ. ესეც აბსოლუტურად ნათელია და დამტკიცება არც ამას სჭირდება. თქვენ კიდევ ერთხელ მინდა გითხრათ, რომ იმ დღის წესრიგით, რომელიც გინდათ შესთავაზოთ საქართველოს მთავრობასა და პრეზიდენტს, ჩვენ უკვე ვიცხოვრეთ ცხრა წლის განმავლობაში და ვნახეთ, სადამდეც მივიდა ქვეყანა და რა მძიმე დღეები გადაიტანა – დაწყებული აგვისტოდან, აგვისტომდე და მას შემდეგაც. ამიტომ დიდი მადლობა რჩევებისთვის, მაგრამ აღარ გვჭირდება. ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკას როგორღაც მივხედავთ და დიდი წარმატებები გვექნება", – განაცხადა აბაშიძემ „ნაციონალური მოძრაობის" მისამართით.

მისივე თქმით, საქართველოს ინტერესია, უკრაინაში განვითარებული მოვლენების დეესკალაცია მოხდეს, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას მოეწეროს ხელი და ქვეყანა ნატო-ში შევიდეს. (ინტერპრესნიუსი)

## ძიუდოში საერთაშორისო ტურნირი გაიმართება



21-23 მარტს, თბილისის სპორტის სასახლე, ძიუდოში პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირს – თბილისის გრან-პრის უმასპინძლებს.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ცნობით, თბილისის გრან-პრი საქართველოში 2014 წელს პირველად ტარდება. გრან-პრის სტატუსი, ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ თბილისს 2013 წლის მიწურულს მიანიჭა, როდესაც ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციას, საქართველოს ძიუდოს ფედერაციასა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს შორის სამმხრივი მემორანდუმი გაფორმდა. თბილისის გრან-პრიზე მსოფლიოს 30-მდე ქვეყნის 500-მდე სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას. მამაკაცთა და ქალთა შორის, ჩემპიონები 7-7 წონით კატეგორიაში გამოვლინდებიან. გრან-პრის საპრიზო ფონდი 100 000 დოლარია. (ინტერპრესნიუსი)

## დონეცკში ხელჩართული ჩხუბი გაიმართა



დონეცკში გამართული ანტისაომარი და პრორუსული მიტინგების მონაწილეებს შორის ხელჩართული ჩხუბი გაიმართა. „უკრაინსკაია პრავდას“ ინფორმაციით, ერთმანეთს ერთდროულად 400-მდე ადამიანი ურტყამდა. გამოცემის შეფასებით, ინციდენტი პრორუსული აქციის მონაწილეებმა წამოიწყეს. ჩხუბის დროს ერთმანეთის წინააღმდეგ ცრემლსადენ გაზის ბალონებსაც იყენებდნენ.

ცნობისთვის: დონეცკში ხუთიათასკაციანი საპროტესტო აქცია გაიმართა, რომლის მონაწილეები ყირიმში მიმდინარე მოვლენებს აპროტესტებდნენ. მათი აქციის პარალელურად, პრორუსული ძალების ორიათასკაციანი აქციაც მიმდინარეობდა. ჩხუბი სწორედ მაშინ დაიწყო, როდესაც აქციის დასრულების შემდეგ მონაწილეებმა დაშლა დაიწყეს. (ინტერპრესნიუსი)

## სიმფეროპოლში გაეროს სპეცწარმომადგენელი მძევლად აიყვანეს

სიმფეროპოლში უცნობმა პირებმა გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი რობერტ სერი მძევლად აიყვანეს. ამის შესახებ უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო პოლიტიკის დეპარტამენტის დირექტორმა ევგენი პერებიინისმა განაცხადა. პერებიინისის თქმით, სერიმ აცნობა, რომ სიმფეროპოლში უცნობმა პირებმა მისი ავტომანქანის ბლოკირება მოახდინეს. მისივე თქმით, ისინი იყვნენ ფორმიანი, შეიარაღებული ადამიანები და განუცხადეს, რომ დავალება აქვთ, აეროპორტში მისი წაყვანის შესახებ.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის განცხადებით, სერიმ გაყოლაზე უარი თქვა, ამ დროისთვის კი ის მძევლად ჰყავთ აყვანილი.

ამავდროულად, „ინტერფაქსი“ ავრცელებს გაეროს გენერალური მდივნის მოადგილის, იან ელიასონის განცხადებას, რომელიც ირწმუნება, რომ რობერტ სერი არავის გაუტაცებია და ის უსაფრთხოდ დაბრუნდა სასტუმროში. მისი თქმით, სპეციალურ წარმომადგენელს შეიარაღებული პირები ნამდვილად ემუქრებოდნენ, თუმცა ის არავის გაუტაცებია. (ინტერპრესნიუსი)

# რისთვის მოგვცეს და რაში დაიხარჯება ევროკავშირის ნაჩუქარი 21 მილიონი?

**ევროკავშირი საქართველოს 21-მილიონიან გრანტს გამოუყოფს. შესაბამის ხელშეკრულებას ხელი უკვე მოაწერეს ევროკავშირის მხრიდან ორგანიზაციის უმაღლესმა კომისარმა შტეფან ფულემ და ევროინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმა. 21 მილიონის გარდა, ევროკავშირი საქართველს მილიონნახევრიან გრანტსაც გამოუყოფს პარლამენტის ეფექტური მუშაობისთვის. კონკრეტულად რომელი ინსტიტუტების განვითარებას მოხმარდება ევროკავშირისგან წამოსული 21-მილიონიანია გრანტი?**

**ამის გასარკვევად „ალია“ დაუკავშირდა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ევროკავშირის დახმარების კოორდინაციის დეპარტამენტის სპეციალისტს დავით კალატოზიშვილს:**

– 21-მილიონიანი გრანტი საქართველოში ერთიანად არ გადმოირიცხება, თანხა ნაწილ-ნაწილ წამოვა ტრანშების სახით სამი წლის განმავლობაში. საქართველოს ხელისუფლებას შემუშავებული აქვს პოლიტიკის მატრიცა, სადაც გაწერილია ყოველწლიური რეფორმების გეგმა, ამ შემთხვევაში 2014, 2015 და 2016 წლებისთვის. როდესაც მთავრობა ერთი წლის განმავლობაში გაწერილ რეფორმებს შეასრულებს, ამის შემდეგ ევროკომისია გამოაგზავნის შემფასებლების მისიას, რომლებიც შეაფასებენ, რამდენად ზუსტად გატარდა საქართველოს მთავრობის მიერ დაგეგმილი და დოკუმენტში ჩამოთვლილი რეფორმები და ამის მიხედვით გადმოირიცხება ტრანში. ამ დრომდე არ ყოფილა პრობლემა, რომ რაიმე დაპირება მიგვეცა ევროკავშირისთვის და არ შეგვესრულებინა, შესაბამისად, არც ტრანშები იგვიანებს.

**— უფრო რომ დავაზუსტოთ, რეფორმის პროექტს წარუდგენთ ევროკავშირის წარმომადგენლებს და შემდეგ ამ რეფორმის განსახორციელებლად წამოვა ტრანში ორგანიზაციიდან?**

– საუბარია სამომავლოდ განსახორციელებელ რეფორმებზე და კონკრეტულ ღონისძიებებზე. ვთქვათ, დაგეგმილი გვაქვს 2014 წლის განმავლობაში გასატარებელი რეფორმები. ჩვენ ამ რეფორმებს გავატარებთ, ევროკავშირის წარმომადგენლები ჩამოვლენ საქართველოში, შეაფასებენ, რამდენად სწორად გატარდა ეს რეფორმები და ამის შემდეგ უკვე გადმორიცხავენ თანხის ნაწილს.

**— რას მოხმარდება ის თანხა, რაც უკვე გამოყო ჩვენთვის ევროკავშირმა?**

– ეს თანხა პირდაპირ ბიუჯეტში ირიცხება, ამიტომ ახლა იმის თქმა, თუ რას მოხმარდება კონკრეტულად ეს თანხა, რთული სათქმელია. ევროკავშირი აკონტროლებს მხოლოდ რეფორმების გატარების პროცესს და არა თანხების ხარჯვას, ვინაიდან თანხა პირდაპირ ბიუჯეტში მიდის. კონკრეტულად ეს გრანტი ეხება საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის მხარდაჭერას. რეფორმის ფარგლებში მხარდაჭერას მიიღებს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი, აუდიტის სამსახური და ფინანსთა სამინისტრო. პროექტის ფარგლებში საკმაოდ ბევრი ღონისძიებაა დაგეგმილი. მაგალითისთვის რამდენიმეს დაგისახელებთ: ბიუჯეტების დაგეგმვისა და ანგარიშგების ხარისხის გაუმჯობესება; მომზადდება და გამოქვეყნდება „მოქალაქეთა გზამკვლევი წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“; შიდა და გარე აუდიტთან დაკავშირებული პროცედურების გაუმჯობესება და ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა; გარე კომუნიკაციის სისტემის გაუმჯობესება მოსახლეობასთან და ასე შემდეგ.



**— პარლამენტსაც, აუდიტის სამსახურსაც და ფინანსთა სამინისტროსაც საქართველოს მოქალაქეები უხდიან ფულს იმაში, რომ იმუშაონ კარგად, რაღა საჭიროა ამხელა გრანტებით მათი წახალისება? თუ მათთვის სამუშაო პირობების გაუმჯობესებას გულისხმობს ევროკავშირიდან წამოსული ტრანში?**

– ევროკავშირის ფულიდან ეს ადამიანები რაიმე ფინანსურ სარგებელს არ მიიღებენ, უბრალოდ ეს არის ევროკავშირის კეთილი ნება და ასევე დამატებითი იმპულსი სახელმწიფოსთვის, რადგან ისედაც განსახორციელებელი რეფორმები უკეთესად შესრულდეს. აქვე დავამატებ, რომ 21 მილიონიდან საბიუჯეტო დახმარება 19 მილიონს შეადგენს, ხოლო 2 მილიონი მოხმარდება საექსპერტო დახმარების, ე.წ. „ტექნიკური დახმარების“ პროექტის განხორციელებას, რის ფარგლებში ევროპელი ექსპერტების მხარდაჭერით ქართველი საჯარო მოხელეები, ზემოჩამოთვლილი უწყებებიდან, ევროკავშირის წევრი ექსპერტებისგან მიიღებენ დამატებით ცოდნას ევროკავშირის საუკეთესო გამოცდილების შესახებ.

**— უფრო დაგვიკონკრეტეთ, მაგალითად, აუდიტის სამსახურმა რომ უკეთესად იმუშაოს, მოხდება მათთვის ტექნიკის შეძენა თუ როგორ იქნება, ისე განმარტეთ, რომ მკითხველმა გაიგოს, რატომ აჩუქა 21 მილიონი ევროკავშირმა საქართველოს?**

– ტექნიკის შეძენაზე არ არის საუბარი, უფრო საუბარია საექსპერტო მხარდაჭერაზე და საქართველოში ევროკავშირის საუკეთესო გამოცდილების დანერგვაზე, რაც სამომავლოდ დაეხმარება საქართველოს საჯარო უწყებებს, უფრო უკეთ, გამჭვირვალედ და ეფექტიანად შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულებები. თუკი აუდიტის სამსახურს დაგეგმილი აქვს, რომ რაიმე შეიძინოს, ეს უკვე საკუთარ ბიუჯეტში უნდა გაითვალისწინოს.

**— ტრენინგები ჩაუტარდებათ საჯარო მოხელეებს?**

– როგორც მოგახსენეთ, 2 მილიონი მოხმარდება ტექნიკური დახმარების პროექტის განხორციელებასა, რაც გულისხმობს კვალიფიკაციის ამაღლებას სხვადასხვა ტრენინგების საშუალებით და ევროკავშირის ექსპერტების ჩართულობით. ამ თანხას გვჩუქნიან მხოლოდ იმისთვის, რომ რეფორმები განვახორციელოთ. ეს თანხები დაიხარჯება თუ არა რეფორმებში, ამას ვერც ჩვენ გავაკონტროლებთ და ვერც ევროკავშირი, რადგან თანხა მიდის ბიუჯეტში. გეგმა, თუ რაში უნდა დაიხარჯოს გრანტი, შემუშავებულია და თან ახლავს ამ საფინანსო შეთანხებას დანართის სახით. 19 მილიონი შეიძლება ამ რეფორმების გატარებას არ სჭირდებოდეს, მაგრამ ევროკავშირი ამბობს, მე ამ თანხას მოგცემთ და თქვენ ეს რეფორმები გაატარეთ.

**„ალია“ ასევე დაინტერესდა, რაში გახარჯავს საქართველოს პარლამენტი მილიონნახევრიან დახმარებას? პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტის განყოფილების უფროსის, ეკა ცანაშვილის განცხადებით, ამ საკითხზე მასზე კიდევ უფრო კვალიფიციური იქნებოდა პარლამენტის ფინანსების მართვის სამსახური, მოგვცა ამ სამსახურის ქალაქის ნომერი, რომელზეც, არაერთგზის დარეკვის მიუხედავად, ჩვენს ზარებს არ უპასუხეს.**

» შორენა გოგოლაძე

599 22 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „გვყავს ექიმები და დაგეხმარებიან“



საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, ნუკრი ქანთარიას შეფასებით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ რევოლუციით იმუქრება.

„ჩვენი ვუნდერკინდი „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან დაიწყო სახიფათო პარალელების ძებნა ჩვენს ხელისუფლებასა და უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს შორის. ამბობენ, რომ ვანო მერაბიშვილი ისევე გამოვა, როგორც გამოვიდა იულია ტიმოშენკო, საქართველოს ხელისუფლება მიჰყვება ვიქტორ იანუკოვიჩის კვალს, რაც პირდაპირ თარგმანში შეიძლება ასე გამოიყურება – იმ წარმატებული ვიზიტის ფონზე, რაც ირაკლი ღარიბაშვილმა აშშ-ში განახორციელა, „ნაციონალური მოძრაობის“ ზოგიერთი წარმომადგენელი გვეუბნება, რომ ჩვენ აქ მოგიწყობთ რევოლუციას, ჩამოვა ლენინი სააკაშვილი, თქვენ აქედან გაიქცევით და გამოვა ვანო მერაბიშვილი. თუ ამაზე ხუმრობთ, მაშინ თვალი მაინც ჩაგვიკარით, ხოლო თუ ამას მართლა ამბობთ, მაშინ გეკითხებით: როგორ ხართ? რამე ხომ არ გჭირდებათ? ჩვენ გვყავს ექიმები უმრავლესობაში და დაგეხმარებიან, თუ არა და, აგერ ბატონი გიგი დაგეხმარებათ“, – მიმართა ქანთარიამ უმცირესობის წევრებს.

მისივე თქმით, თუკი რომელიმე ხელისუფლება რევოლუციას იმსახურებდა, ეს სწორედ წინა ხელისუფლება იყო, მაგრამ ქვეყნის ინტერესების გამო, ეს არ განხორციელდა და ძალისხმევა არჩევნებისკენ წარიმართა.

„ხელისუფლების შეცვლა არჩევნების გზით მოხდება, რაც არის ქვეყნის წარმატებისა და სტაბილურობის გარანტი. ამიტომ, ჩემო ბატონებო, ბოდვებს მოეშვით და თავს კანონგარეშე ნუ აყენებთ“, – განაცხადა ქანთარიამ. (ინტერპრესნიუსი)

## ქართველი მეწარმეები უკრაინის ბაზარს არ დაკარგავენ?

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური დარწმუნებულია, რომ ქართველი მეწარმეები უკრაინის ბაზარს არ დაკარგავენ. მინისტრი მიიჩნევს, რომ უკრაინის ეკონომიკის გამოცოცხლება დაიწყება. მისივე თქმით, ბოლო პერიოდში უკრაინის ეკონომიკა ძალიან ნელა იზრდებოდა.

„მე არ მგონია, რომ ჩვენმა მეწარმეებმა თავი შეიკავონ უკრაინაში ექსპორტის განხორციელებისგან, ვინაიდან თუ იქნება რაღაც წყვეტა, იმ ადგილს სხვა ბიზნესმენები აითვისებენ, ამიტომ მე მაინც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს ლოკალური გართულებები, რომლებიც ახლაა, ძალიან მალე დასრულდება და ჩვენი მეწარმეები არ დაკარგავენ ისეთ მნიშვნელოვან ბაზარს, როგორიც უკრაინაა“, – აღნიშნა ხადურმა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## უკრაინა და საქართველო ერთ საფრთხეს უმკლავდებიან



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დეპუტატებს ისეთი განცხადებების გაკეთებისკენ მოუწოდებს, რომლითაც მტერი მათ ერთიანობას დაინახავს.

„ვაგრძელებთ განცხადებებს და ძალიან მძიმე თემას ვეხებით. უკრაინისთვის ყველაზე საუკეთესო დახმარება და საქართველოსთვის ყველაზე საუკეთესო მსახურება ჩვენი მხრიდან იქნება ის, რომ ამ თემაზე ვიაროთ წინ. თუ როდესმე ერთიანობაა და ერთიანობის დემონსტრირებაა საჭირო, არის მაშინ, როდესაც საერთო მტერი და საერთო პრობლემა გამოუჩნდება ქვეყანას, საზოგადოებას. ამ შემთხვევაში უკრაინა-საქართველო გათავისებული გვაქვს როგორც ერთი მთელი, რომელიც ერთ საფრთხეს უმკლავდება. იმედს გამოვთქვამ, რომ ამ პათოსით გავაგრძელებთ და ვივლით იქით, რომ სწორედ მოწინააღმდეგემ და მტერმა დაინახოს ჩვენი ერთიანობა იმაში, რაშიც ერთიანი უნდა ვიყოთ“, – აღნიშნა უსუფაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

# ექსკლუზივი



# უკრაინელები პარტიზანული ომისთვის ემზადებიან?

## რას უყვება „ალიას“ უკრაინაში მცხოვრები ქართველი

**რა ხდება უკრაინის გარშემო და რა იქნება ხვალ? „ალიას“ უკრაინის ეროვნებებისა და მიგრაციის საქმეთა მინისტრის ყოფილი პირველი მოადგილე, უკრაინის ყოფილი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლატვიაში, პროფესორი რაულ ჩილაჩავა ესაუბრება:**

**— ბატონო რაულ, ამ წუთას წავიკითხე ინფორმაცია, ბარაკ ობამამ თქვა, უკრაინას ვეღარაფერს ვუშველითო... რა ხდება მანდ, შეიძლება, რომ უკრაინა დათმოს ამერიკამ და ევროპამ?**

– გააჩნია, რა იგულისხმა „შველაში“. ჯარით რომ არ დაეტაკება რუსეთს, ცხადია, მაგრამ პოლიტიკური, დიპლომატიური და ეკონომიკური ზეწოლა რუსეთზე ამერიკამ უკვე დაიწყო. ჯერჯერობით ისეთი პირი უჩანს, დათმობას არ აპირებენ, მაგრამ პუტინი, ბისმარკის თქმისა არ იყოს, სულ უფრო ხშირად იყენებს ისეთ უმართავ იარაღს, როგორიცაა სიბრიყვე.

**— სააკაშვილი ისევ უკრაინაშია? როგორ ხართ მანდ ქართველები? როგორ ფიქრობთ, ამ დაპირისპირებაში ჩვენ რა გველის?**

– სააკაშვილი აქ რომ იყო, ვიცი. ხვდებოდა ახალ ხელისუფლებას. წავიდა თუ არა, ვერ გეტყვით, პირადად არ მინახავს, ტელევიზიით ჩანდა ხშირად. აქ ყველანი ერთნაირად ვართ... სრული სიცრუეა და უტიფრობაა, რასაც რუსული პრესა წერს და ტელევიზია გადმოსცემს კიევის ქუჩებში ბანდერელების თარეშსა და განუკითხაობაზე. ქალაქში სუფევს წესრიგი და სიმშვიდე, არავითარი რუსოფობია, ქსენოფობია და ანტისემიტიზმი. გუშინ მრცხვენოდა რუსეთის პრეზიდენტის ნაცვლად, როცა ის ჟურნალისტებთან საუბარში ამ ბოდვას იმეორებდა. უკრაინელები ებრძოდნენ თავიანთ ანტიეროვნულ, თაღლით, მატყუარა და ქურდ ხელისუფლებას და ეს ბრძოლა არანაირად არ იყო მიმართული აქ მცხოვრები ეროვნული უმცირესობების მიმართ. დავუბრუნდები თქვენს წინა შეკითხვას და გეტყვით: თუ ამერიკამ და ევროპამ ამ ძნელბედობის ჟამს უკრაინა მართლა შეატოვა პირისპირ რუსეთს, მაშინ უნდა ჩავთვალოთ, რომ მისი მომავალი ლუკმა საქართველო იქნება. ღმერთმა ნუ ქნას და, დასავლეთის წაყრუებით რუსეთმა უკრაინა თუ დააჩოქა, ჩვენ მივიღებთ საბჭოთა კავშირზე საშინელ მონსტრს. ჩვენ ყველანი აღმოვჩნდებით ახალ რუსულ იმპერიაში, სადაც მაქსიმუმ გუბერნიის სტატუსს თუ გვაღირსებენ, როგორც ოდესღაც, მეფის რუსეთში. იქნებ ძალიან საშინელ სურათს ვხატავ, მაგრამ პუტინისგან უფრო დიდ „მოწყალებას“ ნამდვილად არ ველოდები.

**— მაინტერესებს, როგორია უკრაინაში მცხოვრები ქართველების აზრი საქართველოს ხელისუფლების პოზიციასთან დაკავშირებით?**

– საქართველოს ხელისუფლებას ჩემი ჭკუის სწავლებისგან ჯვარი სწერია, მაგრამ, რაკი მეკითხებით, მოგახსენებთ. მან საკმაოდ სწორი პოზიცია დაიკავა და გამოხატა კიდეც თავის ოფიციალურ განცხადებებში. ჩვენ არა ვართ ის ქვეყანა, რომელიც მსოფლიო პოლიტიკაში რამეს ვწყვეტთ, ამიტომ ისეთი რამე არ უნდა მოვიმოქმედოთ და ვთქვათ, რასაც მერე ჩვენს საწინააღმდეგოდ გამოიყენებენ... მე აქ საკმაოდ კარჩაკეტილ ცხოვრებას ვეწევი, მაგრამ რამდენადაც ვიცი, ქართველები ელოდნენ სამართლიანობის აღდგენას, რუსეთთან ურთიერთობების დალაგებას, ევროპისკენ სვლას, განდგომილ ტერიტორიებთან უფრო სისტემური ურთიერთობების დალაგებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, სოციალური ვითარების გაუმჯობესებას, პირველი მოთხოვნილების საგნებზე ფასების დაკლებას და ასე შემდეგ. ეს მოლოდინი ჯერჯერობით არ გამართლდა. კიეველი ქართველებიც, ვისაც ვხვდები, ამ აზრისანი არიან, ეს საკითხები ჩვენც გვაწუხებს.

**— დავუბრუნდეთ უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს, რა იქნება ხვალ?**

– თუ რუსეთი არ დათმობს თავის ამბიციებს, იქნება ის, რომ უკრაინის ტერიტორიაზე იბრძოლებს არა მარტო ოფიციალური არმია, არამედ მთელი ქვეყანა, დიდ-პატარა და მათ შორის იქნება ძალიან ბევრი ეთნიკური რუსი და ეროვნული უმცირესობები (მათი რიცხვი რვა მილიონზე მეტია!), რომელთათვისაც უკრაინა სამშობლოა. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ უკრაინას ბელორუსთან ერთად აქვს პარტიზანული ბრძოლის უდიდესი გამოცდილება. 45-მილიონიან უკრაინაში მინიმუმ 5 მილიონი ან კიდევ უფრო მეტი ადამიანი იარაღს აიღებს ხელში... შეგახსენებთ: უკრაინა იარაღის ექსპორტიორი ქვეყნების ათეულში შედის და საჭიროების შემთხვევაში მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება. რუსეთს უკრაინის წინააღმდეგ არავინ გაუხსნის მეორე ფრონტს, როგორც ეს თავის დროზე სტალინს გაუკეთეს რუზველტმა და ჩერჩილმა ფაშიზმთან ომში. ამავდროულად შეუძლებელია, არ გვაღელვებდეს კატასტროფული საზოგადოებრივი აზრი თვით რუსეთის ფედერაციაში: ერთ-ერთი იქაური სოციოლოგიური გამოკითხვით, რუსი მოსახლეობის 58,6% მხარს უჭერს უკრაინასთან ომის დაწყებას და მხოლოდ 19,6%-ია წინააღმდეგი. მეტსაც გეტყვით და ეს განსაკუთრებით შოკისმომგვრელია – მოსახლეობის საგრძნობ ნაწილს (პროცენტებს არ ასახელებენ, ალბათ, დიდია და თავს იკავებენ) მიაჩნია, რომ რუსეთმა ჯარები უნდა შეიყვანოს იაპონიასა და აშშ-ი, უპირველესად კი – ლიტვაში. თუ ღმერთმა ქნა და რუსეთის ინტერვენცია მშვიდობითა და უსისხლოდ დამთავრდა, უკრაინამ სასწრაფოდ უნდა დაიწყოს საკუთარი არმიისა და მთელი ძალოვანი სტრუქტურების რეფორმები და, რაც მთავარია, ლუსტრაცია.

დღეს რატომღაც არავის ახსენდება, რომ ისევ არსებობს დსთ, რომლის ასოცირებული წევრიცაა უკრაინა. რატომ არაფერს ამბობენ ამ ვითომ თანამეგობრობის წევრები დღევანდელ სიტუაციაზე? ვიცი, რიტორიკულ კითხვას ვსვამ და პასუხსაც არ ვითხოვ, მაგრამ იმ ადამიანებს, რომლებსაც დღემდე ერთადერთ ხსნად და პანაცეად მოსკოვი და ევრაზიული კავშირი მიაჩნიათ, ნუთუ არ აფიქრებთ ეს მკაცრი რეალობა? თუ 2008 წლის აგვისტო თვით ბევრმა ქართველმაც კი (გვარს არ დავასახელებ) საჭოჭმანო გახადა, ახლა მაინც ხომ ვხედავთ, ვინ იწყებს ომს. უკრაინა ენით აუწერელი დამცირების ფასად ითმენს შეურაცხყოფას, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი გამოსდის. გუშინ პუტინმა საბოლოოდ ჩამოიხია ნიღაბი და განაცხადა: ჩვენ წინ დავიყენებთ უკრაინელ ქალებსა და ბავშვებს, თვითონ კი უკან დავდგებით. და მე მაშინ ვნახავ, ვინ გასცემს სროლის ბრძანებას! გსმენიათ ასეთი რამე რომელიმე ქვეყნის მეთაურისგან? ეს ხომ პირწავარდნილი ტერორისტების მეთოდია. არადა, სინდისი დაუშლის თუ კაცობა? იზამს კიდეც!

**გელა ზედელაშვილი**

555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნოდარ ხადური: ხელისუფლების პრიორიტეტია, ეკონომიკური ზრდა თითოეული მოქალაქის კეთილდღეობაზე აისახებოდეს



საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა ქვეყნის ეკონომიკაში დაფიქსირებული პოზიტიური ტენდენციები მიმოიხილა.

მისი თქმით, 2013 წლის დასაწყისში ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელების მიუხედავად, წინა წლის ოქტომბრიდან ტენდენცია შეიცვალა და ეკონომიკური ზრდა ოქტომბერში 4.4%, ნოემბერში – 8.0% ხოლო დეკემბერში 8.8% დაფიქსირდა. წინასწარი შეფასებით, 2013 წელს ეკონომიკის წლიურმა ზრდამ 3.2% შეადგინა. მინისტრის განცხადებით, ბოლო კვარტალის ზრდის ტენდენცია გრძელდება მიმდინარე წლის დასაწყისიდანაც და იანვარში 7,8%-იანი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი ფიქსირდება; მინისტრის ინფორმაციით, 2014 წლის იანვარში, წინა წლის იანვართან შედარებით, საგარეო სავაჭრო ბრუნვა 15%-ით გაიზარდა და 761 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, მათ შორის, ექსპორტი გაიზარდა 14%-ით (224 მლნ აშშ დოლარი) და იმპორტი 15%-ით (538 აშშ დოლარი). 2014 წლის იანვარ-თებერვალში გადასახადების სახით ბიუჯეტში მობილიზებულია 982,9 მლნ ლარი, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებაში 13,0%-ით (112.9 მლნ ლარი) მეტია. აღნიშნული მატებიდან 65,3 მლნ ლარი იანვარზე მოდის, ხოლო 47,5 მლნ ლარი თებერვალზე.

მიმდინარე წლის იანვარში, 2013 წლის იანვართან შედარებით დამატებითი ღირებულების გადასახადის გადამხდელი საწარმოების ბრუნვა გაიზარდა 15%-ით და 3.567 მლრდ ლარი შეადგინა, მათ შორის: სოფლის მეურნეობა 84,0%-ით; მშენებლობა 43,0%-ით; კომუნალური მომსახურების გაწევა 30,0%-ით; სამთო მოპოვებითი და დამამუშავებელი მრეწველობა 12,0%-ით.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, ზრდის ტემპის ასეთი გამოცოცხლების ფონზე, 2014 წლისთვის პროგნოზირებული მთლიანი შიდა პროდუქტის 5%-იანი ზრდა აბსოლუტურად რეალისტურია, შეიძლება ითქვას კონსერვატულიც.

„თუმცა, ხელისუფლების პრიორიტეტია ეკონომიკური ზრდის აღნიშნული პოზიტიური ტენდენციები არა მხოლოდ ციფრებისა და მაჩვენებლების დონეზე რჩებოდეს, როგორც ეს ადრე ხდებოდა, როდესაც საერთაშორისო მასშტაბით საქართველო ერთ სულ მოსახლეზე ნომინალური მშპ-ის მიხედვით, 2004 წელს 116-ე ადგილზე იყო, ხოლო 2012 წლისთვის ქვეყნის პოზიცია მხოლოდ ერთი ადგილით გაუმჯობესდა და 115-ზე გადავიდა, არამედ ეკონომიკური ზრდა აისახებოდეს თითოეული მოქალაქის კეთილდღეობაზე“, – აღნიშნა ნოდარ ხადურმა. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge

## პირობით ვადამდე 106 მსჯავრდადებული განთავისუფლდა



სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ცნობით, 2014 წლის 4-5 მარტს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პირობით ვადამდე განთავისუფლების ადგილობრივი საბჭოებისა და კომისიის სხდომები გაიმართა. ერთობლივი გადაწყვეტილებით, სასჯელაღსრულების დაწესებულებები 106 მსჯავრდადებულმა დატოვა, მათ შორის 2 არასრულწლოვანია და 13 ქალბატონი. სასჯელი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით შეეცვალა 4 მსჯავრდადებულს, რომელთაგანაც 2 ქალბატონია.

სამინისტროს ინფორმაციით, სხდომებზე 800-ზე მეტი მსჯავრდადებულის შუამდგომლობა განიხილეს, კერძოდ მათი, ვისაც მოხდილი აქვს ნაკლებად მძიმე დანაშაულზე სასჯელის ნახევარი, მძიმეზე – 2/3, ხოლო განსაკუთრებით მძიმეზე – 3/4.

„შუამდგომლობების ინდივიდუალურად განხილვისას გაითვალისწინეს დანაშაულის ხასიათი, მსჯავრდადებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში, წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ნასამართლობა, ოჯახური პირობები, მსჯავრდადებულის პიროვნება, ასევე ინდივიდუალურად შეფასდა მსჯავრდადებულის მიერ დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკები“, – აღნიშნულია სამინისტროს განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## მაუწყებლებს ლიცენზიის ვადა უგრძელდებათ



მაუწყებლებს, რომელთაც 2015 წლის 17 ივნისამდე საეთერო ტელემაუწყებლობის ლიცენზიებს მოქმედების ვადა ეწურებათ, ეს ვადა ციფრულ სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლამდე უგრძელდებათ.

„მაუწყებლობის შესახებ“ კანონში შესატანი შესაბამისი ცვლილებები დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ ზურაბ ტყემალაძემ მოამზადა. კანონპროექტს პარლამენტი დაჩქარებული წესით იხილავს. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# ექსკლუზივი

**1-ლი მარტიდან რეცეპტის გარეშე ფსიქოტროპული პრეპარატების რეალიზაციასთან დაკავშირებით სანქციები საკანონმდებლო ნორმებით გამკაცრდა. ამ დღეებში ეს დააანონსა როგორც შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ, ასევე, დავით სერგეენკომაც. რა ხდება? რა გამოვლინდა რეიდების დროს? მოახდინა თუ არა კანონის გამკაცრებამ გავლენა ამ ბიზნესზე?**

# ფსიქოტროპული პრეპარატები ისევ იყიდება...

## რა ხერხს მიმართეს აფთიაქებმა



**„ალიას“ ესაუბრება ანტიმონოპოლიური კავშირის ხელმძღვანელი გიორგი ბურჯანაძე:**

– ჩვენ აქტიურად ვმუშაობდით ფსიქოტროპული პრეპარატების მიმართულებით, უფრო სწორად, ამ პრეპარატების ურეცეპტოდ გაყიდვასთან დაკავშირებით. უკვე კანონმდებლობით იქნა მიღებული ის, რომ ურეცეპტოდ ამ მედიკამენტების გაყიდვა გამოიწვევდა ამ ბიზნესოპერატორების გვარიანი თანხით დაჯარიმებას და შემდეგ უკვე მათი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაყენებას. 5 მარტს, გავიყვანეთ მონიტორინგის ორი ჯგუფი, თან გვახლდნენ ჯანდაცვის სამინისტროს თანამშრომლები და ფაქტი, რომ კვლავ ხდება ურეცეპტოდ მსგავსი პრეპარატების გაყიდვა, დადასტურდა. თან ისეთი აფთიაქები ავირჩიეთ, რომლებიც ერთხელ უკვე დაჯარიმებულები იყვნენ ამის გამო.

**— ანუ ამ პირებზე უკვე სისხლის სამართლის პასუხისგება დადგება?**

– აუცილებლად. საბურთალოზე, ალმასიანის ქუჩაზე მდებარე აფთიაქში შევედით და შევიძინეთ საკონტროლო შესყიდვის დროს ფსიქოტროპული პრეპარატი „გრიმოდანი“, რომლიც ადრე არ იყო ამ კატეგორიაში, მაგრამ პირველი მარტიდან მიიღეს უკვე. მოკლედ, ეს პრეპარატი ისე ვიყიდეთ, უპრობლემოდ. ამის შემდეგ შევედით ჩვენ და ჯანდაცვის გენერალური ინსპექცია და ამ წუთებში მიდის აღწერა (20 სთ. და 34 წუთი). დაველაპარაკეთ ჯანდაცვის წარმომადგენელს დავით მაჭარაშვილს და მან გამოთქვა სურვილი, რომ მონიტორინგი ერთობლივად ჩავატაროთ და ასეც ვაპირებთ. კარგია, რომ საზოგადოება უკვე ხმას იმაღლებს ამ თემასთან დაკავშირებით, რადგანაც მოგვბეზრდა ყველას, რომ ჩვენი არასრულწლოვანი ბავშვები, მეზობლები და ნათესავები ყიდულობენ ამ ფსიქოტროპულებს და გაშტერებულები დადიან ამის ზემოქმედებით გაბრუებულები. მთელი უბნებია ასე გათიშულ მდგომარეობაში და ამას წერტილი ხომ უნდა დაესვას? უნდა განახათ ეს გამყიდველები, ძალიან ყოყოჩად დგანან და ამაყად. მოვიდა აფთიაქის პატრონი და რა უნდა მიქნათ, ჯარიმა? ხომ არ დამხვრეტთ, მერე რაო.

**— ამის გარდა, მონიტორინგის მუშაობისას, რა გამოიკვეთა? არავითარი ცვლილება არ მომხდარა?**

– მოხდა, ბატონო ჩემო, ის ფსიქოტროპული მედიკამენტები, რაც ადრე ღირდა 1.50 ლარი, ახლა გამხდარა 3 ლარი, ზოგან ფასი გაორმაგებულა, ან 50%-ით მოუმატია ამ მედიკამენტებს, ანუ ამ გამყიდველებს უკვე ციხე ემუქრებათ და ამიტომ წამალი გააძვირეს.

**— გააძვირეს და თან მაინც ყიდიან, ანუ „პამირაც ტაკ ს მუზიკოი?“**

– ეგრე გამოდის და გაყიდვა რომ ნამდვილად არსებობს, 6 მარტს სიუჟეტს ნახავთ „პირველ არხზე“, თქვენ უბრალოდ ტელევიზიებს ასწრებთ, რადგანაც ექსკლუზივი თქვენია. ახლა ძირითადად ვაკე-საბურთალოზე ვართ და აქ ვმუშაობთ, რადგანაც აქ არიან ჩასაფრებულები ის ადამიანები, ვინც ასეთ მავნებლურ საქმიანობას ეწევიან, მაგრამ დასაწყისში ვიშიფრებოდით, რადგანაც, ეტყობა, გვცნობენ. აქედან გამომდინარე, სხვა ხერხს მივმართეთ და ამან გაამართლა.

**— რა ხერხია-მეთქი, შეგნებულად არ გეკითხებით.**

– ხო და იმ სხვა მეთოდმა საბოლოოდ გაჭრა. ისეთი ხალხი გვყავს შერჩეული, გაუპარსავები და ისეთები, ვინც მომხმარებელს ჰგავს. თან რა გამოიკვეთა: უბნელები გვეუბნებიან, რომ ეს აფთიაქებიო უცხოებს არავის იკარებენ და არავის აძლევენ ამ ფსიქოტროპულებსო, მაგათ იციან თავისი კლიენტი და მას ემსახურებიანო. ეს ხალხი წლების მანძილზე ჰყავთ ამორჩეული და მათ ემსახურებიან ისევ, მაგრამ აგერ, იმ უცხოსაც მისცეს დღეს. ვერ გავიგე, ქართველი ვარ, ბავშვები მეზრდება და რით უნდა დავიცვა შვილები? რით გავამკაცრო ეს სფერო, რომ დაცული ვიყო, რომ ჩემი ბავშვი, ან მისი კლასელი და ამხანაგი არ დაავადდეს ამ სენით? ამ დროს გეუბნები მე, კანონმდებლობა, რომ დაგიჭერ და მწარედ დაგაჯარიმებ, მაგრამ მერე რა? 500 ლარიდან დაიწყო ეს ჯარიმები, 3000 გახდა, მერე 6000 და 12 000 ლარი და მაინც არაფერი ეშველა! ახლა სულაც გიჟერო, კანონმდებლობა ამბობს და მოქმედება ისევ დარჩა, ყიდიან მაინც. ამ ბიზნესს სხვა რა უნდა ეშველოს? რა გავაკეთოთ?

**— ხალხი თუ გიკავშირდებათ და თუ მოდის მოსახლეობა თანამშრომლობაზე?**

– უფრო ქალები, მამაკაცები ჩუმად არიან. ეტყობა, დედის გულზე უფრო მოქმედებს ეს ამბავი. აქტივობა ასეთ ადგილებში არის დილით, 10-დან 11 საათამდე და საღამოს, 6-დან 7-მდე, როცა ბნელდება. ეს სეგმენტი მაშინ აქტიურდება და რაც მთავარია, კინაღამ დამავიწყდა: ჩვენს მონიტორინგს აქვს ასეთი ხედვა, რომ ასეთ საქმიანობას ეწევიან ვინ?

**— ვინ?**

– ვინ და ძველი პოლიციელების ოჯახები, განსაკუთრებით ყოფილი მაღალჩინოსნები.

**— რა, ეს აფთიაქები მათია?**

– ძირითადად, სულ მაგათია. ეტყობა, თავის დროზე ამ ბიზნესით სულდგმულობდნენ და მათ გარეშე ამ აფთიაქებში არავინ შედიოდა, არავინ ამოწმებდა და ახლა მათია, ის 6000 ლარიც შემონახული აქვთ და გვერდით უდევთ უკვე გამზადებული, თუ ჯარიმაზე მიდგება საქმე და ნებისმიერ ვარიანტში მაინც რისკზე მიდიან. ასეთ პირებს სამუდამოდ უნდა აეკრძალოთ მსგავსი ქმედება, ყველა ერთად უნდა დავდგეთ და თავისი არ გავატანინოთ, თორემ დავიღუპეთ და ესაა.

**თამარ ოქრუაშვილი**

599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ზაქარეიშვილმა პატრიარქს მადლობა გადაუხადა



შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა, პაატა ზაქარეიშვილმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს ევროინტეგრაციის მხარდამჭერი განცხადების გამო, მადლობა გადაუხადა.

„პატრიარქის განცხადება იყო უაღრესად მნიშვნელოვანი და საჯაროდ მინდა დიდი მადლობა გადავუხადო უწმინდესს. არსებობდა რაღაც მოსაზრებები ზოგიერთ ჯგუფებში ეკლესიის როლსა და თითქოს მისი დუმილის შესახებ. ამიტომ, პატრიარქის მკაფიო განცხადება არის უაღრესად სერიოზული მხარდაჭერა იმ პოლიტიკის, რომელიც ცალსახად და მკაფიოდ, ევროპისკენ არის მიმართული“, – განაცხადა ზაქარეიშვილმა.

მისივე თქმით, მას შეუძლია ჩამოთვალოს ევროპის უამრავი სახელმწიფო, რომელიც ეთნიკურ პრინციპებზეა დაფუძნებული, სადაც შენარჩუნებულია როგორც ეროვნული თვითმყოფადობა, ტრადიციები, ისე ევროპული ღირებულებები.

„ეს არის ძალიან იოლი. ჩვენ ევროპელები ვართ. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, მუდმივად ევროპაზე ვფიქრობდით და დღეს, რეალურად დადგა ის მომენტი, რომ საქართველომ თავისი მრავალსაუკუნოვანი ოცნება აისრულოს, შეაზავოს ერთმანეთში ის, რაც შეზავებადია – ტრადიციები და ევროპული ღირებულებები“, – განაცხადა ზაქარეიშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

# ექსკლუზივი

**რატომ არ მისცეს მასწავლებლებს დაპირებული მე-13 ხელფასი? რატომ უმცირდებათ საჯარო სკოლებში კლასის ხელმძღვანელებს ხელფასები და რატომ არ სრულდება განათლების პროგრამა?**

**„ალიას“ ესაუბრება ექსპერტი განათლების საკითხებში, მანანა ნიკოლაიშვილი:**



# პედაგოგები წლიური 6000 ლარზე ნაკლები შემოსავლით, აპრილში 350 ლარს მიიღებენ

## სად გაქრა დაპირებული მე-13 ხელფასი და საახალწლო საჩუქარი — 65 ლარი

– ახალი ხელისუფლება მასწავლებლებს შეჰპირდა, რომ წლის ბოლოს მისცემდა მე-13 ხელფასს. ეს არ გეგონოთ დაუბეგრავი მინიმუმი, რასაც ურევს ფინანსთა სამინისტრო. თუ ფინანსთა სამინისტროში დარეკავთ, იქ გეტყვიან, რომ ჩვენ აპრილში ვაძლევთ ამ დაუბეგრავ მინიმუმსო. ვიმეორებ, ეს ორი სხვადასხვა რამეა. ამის გარდა, საჯარო სკოლების მასწავლებლებისთვის უნდა მიეცათ საახალწლო საჩუქრად 65 ლარი, არც ეს არ გაცემულა წელს. არ ვიცი, რა ხდება და ეს უნდა ჰკითხოთ ხა-დუ-რს! ხადურმა არ მისცა ფული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, არ ჩაურიცხა. იმ დაუბეგრავ მინიმუმს რაც შეეხება, ისიც უნდა მიეცათ პედაგოგებისთვის მარტში და აპრილში გადაწიეს. ასეთი მძიმე სიტუაციაა. რაც შეეხება მასწავლებლის განაკვეთს, 18 საათიდან მინიმალური განაკვეთი უნდა ჩამოეყვანათ 15 საათამდე და მასწავლებლებს გადაუხდიდნენ იმ თანხას, რასაც 18 საათზე აძლევდნენ. არც ეს გაკეთდა.

**— გასაგებია, ესეც ფინანსებთან არის დაკავშირებული.**

– აბა, რაა. ეს იმ შემთხვევაში გაკეთდებოდა, გასულ წელს რომ ჩადებულიყო ბიუჯეტში გარკვეული თანხა და წელს მატება რომ ყოფილიყო. ან წელს ახალი ბიუჯეტი რომ მიიღეს, იქ მაინც რომ გათვალისწინებულიყო.

**— გამოდის, არც მომავალ წელს არ გაკეთდება ეს ამბავი?**

– არა. არადა, ეს იყო „ქართული ოცნების“ პროგრამაში ჩადებული, ეს ხადურს უნდა შევახსენოთ, ერთი მილიარდით უნდა შეივსოს განათლების ბიუჯეტი. დღეისთვის რა ხდება: მიმდინარეობს სადამრიგებლო ხელმძღვანელის დანამატის განახევრება, ანუ მათი ხელფასები 50 პროცენტით მცირდება. ნამდვილად გაოგნებული ვარ ამ სიტუაციით და რა ხდება, „ქართულ ოცნებას“ „ნაციონალების“ გამარჯვება უნდა? ასეთი რამე ისტორიას არ ახსოვს, სამი თვე დარჩა არჩევნებამდე და მასწავლებლებს თავისი კაპიკებიდან კიდევ აკლებენ? ამ სამინისტრომ თავისთვის დაიკლოს პრემიები და თავი დაანებონ ამ საცოდავ მასწავლებლებს. არც მიზეზს არ ამბობენ, რატომ აკეთებენ ამას. ეს მარტო ფინანსთა სამინისტროსი კი არა, მთლიანად მთავრობის პოზიციაა ასეთი. მე მილიარდს რომ ვამბობ, ეს ციფრი კი არ მომწონს და იმიტომ კი არ ვამბობ. წესით, სამ მილიარდზე მეტი უნდა იყოს განათლებისა და მეცნიერების ხუთივე საფეხურის დაფინანსება და ამათ რა ქნეს? ერთ მილიარდამდეც არ შეავსეს ბიუჯეტი. ამით ვერ მოიგებს ეს მთავრობა და ეს უნდა ესმოდეთ ხადურსა და პრემიერს. ისევ ვუბრუნდები უკვე ნათქვამს: ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პროგრამაში ხომ არის ეს ყველაფერი ჩამოყალიბებული? რატომ არ სრულდება? ყველა მინისტრმა დაიდოს წინ ის მეცნიერებისა და განათლების პროგრამა და ნახოს.

**— რომელ მინისტრებს მიმართავთ?**

– ყველას და განსაკუთრებით ფინანსთა მინისტრს, ეკონომიკის მინისტრს, კარგად უყურონ პროგრამას და კარგად დაიმახსოვრონ: ის მთავრობები მიდიან ხელისუფლებიდან, ვინც განათლებაში ფულს არ დებს. გადახედონ ძალოვნების ბიუჯეტებს. მართლა მაინტერესებს, რაში სჭირდებათ ამ სამინისტროებს ამხელა ფული? განათლება უფრო მნიშვნელოვანია. შესამცირებელია კონტინგენტი? შეამცირონ, არ გვჭირდება ჩვენ პოლიციური და გასამხედროებული სახელმწიფო. ვერ მოუგებ იმ ვეშაპ რუსეთს ომს იარაღით, გაგაქრობს და ქვეყნის ნაცვლად დატოვებს სველ წერტილს. ეს ხდება პოლიციური ტიპის ქვეყნებში და არ არის საჭირო ამდენი ძალოვანი სტრუქტურა და სადაც მსგავსი სისტემაა, იქ ყოველთვის სისხლი და ძალადობაა. ამიტომ სასწრაფოდ ფული გვჭირდება, რომ რამე ძვრა იყოს განათლებაში და მომავალ წელს ამ ფულს კიდევ უნდა დაემატოს უფრო მეტი თანხა.

**— და რეზერვი?**

– ამის რეზერვი ნამდვილად არის, ამისი წყაროა იგივე ძალოვნების ხარჯი და მთავრობის ხარჯები. ხადური ამბობს, მე განა არ მინდა განათლების დაფინანსებაო და თუ უნდა განათლებაში გადაიდგას სასიკეთო ნაბიჯები, მოეთათბიროს პრემიერს და მართლაც, გადაიდგას ეს ნაბიჯი, თორემ უკვე ვაგვიანებთ და მერე ძალიან გვიან იქნება.

**კომენტარისთვის ვუკავშირდებით ფინანსთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელს თეა ბეგიაშვილს:**

– უნდა გაცნობოთ, რომ მე-13 ხელფასთან დაკავშირებით ფინანსთა სამინისტროს არ უმუშავია, ამ თემაზე მიმართეთ განათლების სამინისტროს. ფინანსთა სამინისტრო მუშაობს დაუბეგრავი მინიმუმის თემაზე და პირველი აპრილიდან დაიწყება ამ თანხების გაცემა.

**შევეცადეთ, განათლების სამინისტროს დავკავშირებოდით, რომ გაგვეგო, მართლაც სად არის ძაღლის თავი დამარხული. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს ზარებს არ უპასუხეს. ეტყობა, მასწავლებლების მე-13 ხელფასმა ჩაილურის წყალი დალია.**

**თამარ ოქრუაშვილი**

599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



## პატრიარქი ფილარეტი: „პუტინი თავის ჯართან ერთად ყირიმიდან მოშორდება“

უკრაინის პატრიარქის, ფილარეტის განცხადებით, „პუტინი თავის ჯართან ერთად ყირიმიდან მოშორდება, როდის მოხდება ეს, მხოლოდ ღმერთმა უწყის, მაგრამ ჩვენ ამას მოვესწრებით“, – დასძინა პატრიარქმა.

როგორც ფილარეტმა აღნიშნა, ეკლესია ლოცულობს, რომ ღმერთი ნახევარკუნძულზე შექმნილი კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაში დაეხმაროს.

„უფალი ამ კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაში დაგვეხმარება. ხომ ხედავთ, რით დამთავრდა კიევში არსებული კონფლიქტი? – იანუკოვიჩის გაქცევით“, – განაცხადა ფილარეტმა.

მისივე თქმით, „იანუკოვიჩი მაშინ წავიდა, როცა ეკლესიამ მისი ხელისუფლებისთვის ლოცვა შეწყვიტა. ასე იქნება აქაც. ღმერთისთვის შეუძლებელი არაფერია“, – განაცხადა ფილარეტმა. (ინტერპრესნიუსი)

## ევროკავშირი უკრაინას 11 მილიარდ ევროს გამოუყოფს



ევროკომისიის პრეზიდენტ ჟოზე მანუელ ბაროზუს განცხადებით, ევროკავშირი მზად არის, უკრაინას დახმარების სახით 11 მილიარდი ევრო გამოუყოს.

„ჩვენ უკრაინისთვის დახმარება განვსაზღვრეთ. ეს არის 11 მილიარდი ევრო, რომელიც მომდევნო წლებზე გადანაწილდება“, – განაცხადა ევროკომისიის პრეზიდენტმა.

ჟოზე მანუელ ბაროზუს თქმით, თანხები გამოყოფილი იქნება როგორც ევროკავშირის ბიუჯეტიდან, ასევე ევროპული ფინანსური ინსტიტუტების მხრიდან. (ინტერპრესნიუსი)

## სამაგისტრო გამოცდისთვის რეგისტრაცია დაიწყება

საერთო სამაგისტრო გამოცდისთვის რეგისტრაცია 6 მარტიდან დაიწყება და 21 მარტის ჩათვლით გაგრძელდება. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცნობით, 2014 წელს მაგისტრანტობის კანდიდატები რეგისტრაციას გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე გაივლიან (**www.naec.ge; online@naec.ge**). ინტერნეტით რეგისტრაციისათვის მაგისტრანტობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს პირადობის მოწმობა, მან ასევე უნდა გადაიხადოს გამოცდაში მონაწილეობის საფასური.

ცენტრის ინფორმაციით, 2014 წელს, ისევე როგორც გასულ წელს, მაგისტრანტობის მსურველები მიმართულებების მიხედვით სხვადასხვა ტიპის ტესტურ დავალებებს შეასრულებენ. სახელმწიფო დაფინანსება საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგის მიხედვით განაწილდება.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცნობით, 2014 წლის ერთიანი ეროვნული, პედაგოგთა სასერტიფიკაციო და სტუდენტთა საგრანტო გამოცდებისთვის რეგისტრაცია 20 თებერვალს დაიწყო და 21 მარტის 18:00 საათამდე გასტანს. ვადის ამოწურვის შემდეგ მსურველები რეგისტრაციას ვეღარ გაივლიან.

11 მარტს, 15:00 საათზე, მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის ღია კარის დღე გაიმართება. ღია კარის დღეზე მოსულ ყველა სტუმარს შესაძლებლობა ექნება, დეტალური ინფორმაცია მიიღოს საერთო სამაგისტრო გამოცდის შესახებ. (ინტერპრესნიუსი)

# ექსკლუზივი



# ეკონომიკის სამინისტრო რესტორნებში, ფურშეტებსა და სასტუმროებში ყველაზე არაეკონომიური მხარჯველი აღმოჩნდა

**ეკონომიკის სამინისტროს 2013 წლის ხარჯებზე „ალიას“ ფინანსისტი, „მეწარმეთა უფასო დახმარების ცენტრის“ დამფუძნებელი გიორგი ჩახაია ესაუბრა:**

– ეკონომიკის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების მიერ, 2013 წელს გაწეული ხარჯების შესახებ მონაცემების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ სხვა სამინისტროებთან შედარებით უფრო შთამბეჭდავი ხარჯებია გაწეული სარესტორნო და სასტუმრო მომსახურებების შესყიდვის მიმართულებით. თუმცა, როგორც წესი, სხვა სახეობის ხარჯებიც საკმაოდ სოლიდურია.

სამინისტროსა და მისი უწყებების მიერ შესყიდულია 340 833 ლარის ღირებულების ავტოსატრანსპორტო საშუალებები. რამე განსაკუთრებულად ძვირადღირებული ავტომობილის შეძენა არ მომხდარა, მაგრამ ეს, ალბათ, იმიტომ, რომ 2012 წლის ბოლოსთვის მათ ბალანსზე უკვე ირიცხებოდა ახალი და ხშირ შემთხვევაში ძვირადღირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები. ჩამოგითვლით რამდენიმეს: „ტოიოტა ლენდ კრუიზერი“, „ტოიოტა ქამრი“, „ჰიუნდაი“ „სანტა ფე“, „ფოლკსვაგენ პასატი“, „მიცუბიში პაჯერო“, „კია სპორტიჯი“ და ა.შ. ეს ყველა 2011-12 წლების გამოშვებისაა და ბუნებრივია, ამ პირობებში მათთვის არ არსებობდა არანაირი აუცილებლობა, დამატებით ახალი ავტომობილების რამე განსაკუთრებულად დიდი რაოდენობით შესყიდვის. რაც შეეხება ავტოტექმომსახურებასა და რეცხვაზე დახარჯულ თანხებს, სულ ამ მიმართულებით დაიდო 171 920 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები, ხოლო საწვავის შეძენაზე 636 793 ლარის ღირებულების.

**— ეკონომიკის სამინისტროსაც აქვს მობილურ ტელეფონებზე გართულება?**

– რაც შეეხება მობილური ტელეფონის აპარატების შესყიდვას, სულ შეძენილია 11 712 ლარის ღირებულების აპარატები. თანამდებობის პირების გემოვნება, როგორც წესი, უცვლელია. შეძენილია: „სამსუნგ“ „გალაქსი“ 1200 ლარად, იგივე „გალაქსი“ 1281 ლარად, „ბლექბერი“ 1278 ლარად, „აიფონ 5“ 1299 ლარად. უბრალოდ, ამას ველარ ვხვდები, ყველა თანამდებობის პირი რატომ უნდა იყოს „აღჭურვილი“ ძვირადღირებული „გალაქსით“, „ბლექბერით“ ან „აიფონით“.

**— საოფისე ტექნიკა?**

– სამინისტრომ და მისმა უწყებებმა შეიძინეს 250 254 ლარის საოფისე ტექნიკა, მათ შორის 219 788 ლარის ღირებულების კომპიუტერული ტექნიკა. ამ შესყიდვებიდან გამოვყოფდი შემდეგს: შეძენილია „სამსუნგის“ ტელევიზორი 1950 ლარად, „პანასონიკის“ ვიდეოკამერის კომპლექტი 15 823 ლარად. აქვე მინდა დავამატო, რომ დაახლოებით ამ ღირებულების ვიდეოკამერების შეძენა თითქმის ყველა სამინისტროში დაფიქსირდა გასულ წელს და მესმის, რომ რაღაც დანიშნულება აქვს მაგრამ, ამ ღირებულებისა და ამავე დროს თითქმის ყველა სამინისტროში რა საჭიროა, ვერ ვხვდები. რაც შეეხება კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის კონკრეტულ ფაქტებს, დოკუმენტებში იძებნება ასეთი შენაძენები: პერსონალური კომპიუტერი 2800 ლარად, პორტაბელური კომპიუტერები 2045, 2053, 2123 ლარად, ე.წ. „აიპედების“ შეძენა და ა.შ.



**— ავეჯი მათაც შეცვალეს?**

– ავეჯზე რამე განსაკუთრებული თანხა არ დახარჯულა, სულ შეძენილია 52 237 ლარის ავეჯი.

**— სასმელები, სხვადასხვა სახის პროდუქტები და საჩუქრები?**

– ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების, ასევე, სხვადასხვა სახის პროდუქტების შეძენაზე დადეს 29 068 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები. რაც შეეხება შეძენილ საჩუქრებს, სულ შეისყიდეს 79 170 ლარის საჩუქრები და აქვე შემიძლია დაგისახელოთ რამდენიმე შესყიდვის ფაქტი. შესყიდულია ასეთი სასაჩუქრე ნივთები: მინანქრის კომპოზიციები, მამაკაცის პერანგის მინანქრის სამაგრები, მინანქრის გულსამაგრები, სასაჩუქრე ღვინოები, „სარაჯიშვილის“ ბრენდის კონიაკები და ა.შ. მაგალითად, 1 ბოთლი „სარაჯიშვილის“ კონიაკის ღირებულება იყო 250 ლარი.



**„სარესტორნო მომსახურებებსა და ფურშეტებში – 308 882 ლარი; ავტოტექმომსახურებასა და რეცხვაში – 171 920 ლარი; საწვავში 636 793 ლარი; სასტუმროს ხარჯები – 318 857 ლარი; საჩუქრებში – 79 170 ლარი; ალკოჰოლურ და უალკოჰოლო სასმელებსა და პროდუქტებში – 29 068 ლარი; მობილურ ტელეფონებში – 11 712 ლარი; საოფისე ტექნიკაში – 250 254 ლარი; ვიდეოკამერაში – 15 823 ლარი“**



**— ახლა რესტორნებზე გადავიდეთ, ძალიან მაინტერესებს.**

– სარესტორნო მომსახურებასა და ფურშეტების მოწყობაზე, მართლაც გრანდიოზული თანხებია დახარჯული. ყოველ შემთხვევაში დღემდე, სხვა სამინისტროების ამ ტიპის ხარჯები, რაც შევისწავლე, ამ მიმართულებით დახარჯული ამ რაოდენობის თანხა არ შემხვედრია. სულ სამინისტროსა და მისი უწყებების მიერ, 2013 წელს, დაიდო 308 882 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები სარესტორნო მომსახურებებსა და ფურშეტების მოწყობაზე. აღმოვაჩინე ასეთი ტენდენციაც, რომ „ემ ჯგუფთან“ ეკონომიკის სამინისტროს ცენტრალურმა აპარატმა თავდაპირველად დადო 5000 ლარის ღირებულების ხელშეკრულება სარესტორნო მომსახურებაზე, რომელშიც 4-ჯერ შევიდა ცვლილება და საბოლოოდ წლის ბოლომდე ხელშეკრულების ღირებულება გაიზარდა 30 000 ლარამდე. რაც შეეხება ფურშეტებს, შემიძლია მოგაწოდოთ ერთი კონკრეტული ორგანიზებული ფურშეტის მენიუ. „აი-ტი“ (ინფორმაციული ტექნოლოგიების) კვირეულის ფარგლებში, სასტუმრო „რადისონ ბლუ ივერიაში“ 3 დღის განმავლობაში ორგანიზებული სადილის, ყავაზე შესვენების, ლანჩის, კოქტეილით და ტორტით გამასპინძლების ხარჯმა შეადგინა 20 886 ლარი.

**— სასტუმროებზე აქვთ ხარჯები?**

– ეს ხარჯებიც საკმაოდ სოლიდურია. სულ ამ მიმართულებით სამინისტრომ და მისმა უწყებებმა დადეს 318 857 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები. მინდა საბოლოო შემაჯამებელი სახით ვთქვა ჩემი მოსაზრება – ვინც როგორ არ უნდა შეეცადოს იმის გამართლებას, რომ ეს ყველაფერი ინვესტიციების ან ტურისტების მოსაზიდად კეთდება, ჯერ ერთი, უმაღლესი კლასის რესტორნებსა და სასტუმროებში ყოფნის გარეშეც შესაძლებელია ამაზე ზრუნვა და ასევე, საერთოდაც სისულელეა წლების განმავლობაში ამ უცხოურ ინვესტიციებზე „პოტინი“ და, რატომაც არის სისულელე, თუ ვინმეს აინტერესებს, პირადად შეუძლია დამიკავშირდეს ნებისმიერი საშუალებით და დაწვრილებით ავუხსნი. როდემდე უნდა გვალოდინოთ ამ მითიური ინვესტიციების შემოსვლას ასე „პირდაფჩენილები“?! პირველ რიგში, საჭიროა ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, განსაკუთრებით კი მცირე ბიზნესის, ვინაიდან გრძელვადიან პერსპექტივაში, საქართველოს ყველა მოქალაქეს ჰქონდეს მეწარმეობის ინდივიდუალურად, სხვისგან დამოუკიდებლად წარმართვის საშუალება, შედეგად მიეცეს ეკონომიკურად დამოუკიდებელი ცხოვრების შესაძლებლობა და, როდესაც მოსახლეობა მატერიალურად მოძლიერდება, შემდეგ თუ გნებავთ ყოველდღე იარეთ რესტორნებში. თუმცა დაიმახსოვრეთ, რომ ჯანმრთელობისთვის მაინც სახიფათოა.

**ჟანა ასანიძე**

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## თავდაცვის აკადემიაში საბუთების მიღება იწყება



დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში საბუთების მიღება იწყება. საბუთების მიღება 31 მარტიდან იწყება და 13 ივნისს დასრულდება. აბიტურიენტები ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე სამედიცინო შემოწმებას გაივლიან და ფიზიკურ ტესტს ჩააბარებენ. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე კი ქართული ენის, ზოგადი უნარების, უცხო ენისა და მათემატიკის ჩაბარება მოუწევთ.

აკადემიაში მიღება მენეჯმენტისა და ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამებზე ხორციელდება. 2014-2015 აკადემიური წლისთვის ეროვნული თავდაცვის აკადემია 180 მსმენელს მიიღებს. მსმენელები თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საცხოვრებელი ადგილით, კვებით, ფორმითა და სამედიცინო მომსახურებით იქნებიან უზრუნველყოფილნი. აკადემიის კურსდამთავრებული ბაკალავრის ხარისხსა და ლეიტენანტის სამხედრო წოდებას მიიღებს. აკადემიაში სწავლა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ფინანსდება. (ინტერპრესნიუსი)

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00
რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


# სკანვორდი

1. სრული დასწრება სპექტაკლზე
2. მ/ფ „როგორ მოვიპაროთ ...“
3. ჟიულ ვერნი. „საიდუმლო ...“
4. „წითელი“ პლანეტა
5. მომღერალი ... სპირსი
6. დიუმაშვილი. „ქალი ...“
7. რიტმული ტანვარჯიში
8. სასტუმროს მოსამსახურე
9. შვედური საესტრადო ანსამბლი
10. მომღერალი რაფაელა ...
11. დუმბაძე „... ვხედავ მზეს“
12. „შესანიშნავი შვიდეული“ პერსონაჟი
13. საგაზეთო ახალი ამბავი
14. ძველი ნივთებით მოვაჭრე
15. მუზეუმი პარიზში
16. მ/ფ „ვესტსაიდური ...“
17. საჯარისო ნაწილების ცვლა
18. ოპერა „ტრავიატა“ პერსონაჟი
19. რაზა, ანუ ...
20. მდინარე გერმანიაში
21. მთამსვლელი, ანუ ...
22. ქალაქი იტალიაში
23. პანკრეასის ჰორმონი
24. ალპური ყვავილი
25. მსახიობი ... ბერიმორი
26. წითელა, ყბაყურა, ჩუტყვავილა
27. ფრჩხილიდან ლაქის მოსაცილებელი
28. სოფელი სურამთან
29. კურორტი ბაღდათის რაიონში
30. სამართალდამცავი ორგანო
31. სია, ანუ ...
32. ებრაელთა ენა
33. საშარდე ბუშტის ანთება
34. რეჟისორი პიერ პაოლო ...
35. ცხენებშებმული მრავალადგილიანი კარეტა
36. ქალაქი უკრაინაში
37. ზოდიაქოს ნიშანი
38. ... შვარცენეგერი
39. რუს მეფეთა საგვარეულო
40. იტალიის მიმდებარე ზღვა
41. გიგანტური არსება ბერძ. მითში
42. მსახიობი ... ჟირარდო
43. მხატვარი პეტერ პაულ ...
44. მდინარე საფრანგეთში
45. სოფელი ოზურგეთის რაიონში
46. ნოდარ დუმბაძის რომანი
47. ნივთიერება აცეტილენის მისაღებად
48. თვალის კაკლის გარსი
49. მ/ფ „... ჰამილტონი“
50. მომღერალი ... მეტონიძე
51. ანტილოპას სახეობა
52. საკანდელაძის როლი ნიკანდრო ...
53. ალკოჰოლური სასმელი
54. პოეტი ... უკრაინკა
55. ქალაქგარეთ გასეირნება
56. ხმადაბალი ჟღერადობა მუსიკაში
57. მდინარე აფრიკაში
58. მუხის ნაყოფი
59. უფრთო ფრინველი
60. „დათა თუთაშხია“ მედუქნის გოგო
61. მსახიობი კურტ ...
62. იატაკის მოსაწმენდი ტილო
63. „ლოლიტა“ ავტორი
64. სულხან-საბა ...
65. მისი დედაქალაქია პრიშტინა
66. კანის გამწმენდი სითხე
67. სრუტე ხმელთაშუა ზღვაზე
68. სასწავლო დაწესებულება
69. ზღვა შავი ზღვის აუზში
70. რეჟისორი ლეონიდ ...
71. ცხვრის ჯოგი
72. ცხენ-ირემი
73. ბოჭკოვანი მცენარე
74. მხედართმთავარი პეტრე ...
75. ეთერზეთოვანი მცენარე
76. ფურცელი წელიწადის დღეებით
77. მითიური ცხენ-კაცი
78. პიროვნების იდენტიფიკაციის მეთოდი თითის ანაბეჭდებით
79. მეტროს მოძრავი კიბე
80. პრეზიდენტის ფიცი
81. ვულკანი სიცილიაზე
82. შრომის მოწონების შეძახილი
83. გრძელი ოთხთვლიანი ეტლი
84. მუსიკ. კომედიის ჟანრი
85. ხორბლის სახეობა
86. ბავშვის კბილი
87. სამიანი ნარდში
88. მყარი ცხიმი
89. ვაზის საყრდენი ძელი
90. ნამთვრალევი, ანუ ...
91. დიდი და მსუქანი მუცელი
92. სახელმწიფო აფრიკაში
93. „რწყილი და ...“
94. ბალეტ „ჟიზელის“ კომპოზიტორი
95. ხრახნი
96. რეჟისორი პედრო ...
97. ადრიანი დილა
98. მსახიობი ... ჩურიკოვა
99. ზეთში შემწვარი კარტოფილი
100. ზღვის ღმერთი ბერძ. მითში
101. მომღერალი ლედი ...
102. მარგალიტის წარმომქმნელი ფენა
103. მსახიობი ... ამირანაშვილი
104. დანაკარგი
105. მარილიანი სითხე კანზე
106. პატარა ნახვრეტი
107. დადებითი ელექტროდი
108. ღლავი
109. მომღერალი ... პავლიაშვილი
110. ოქროს ძაფი
111. ხან ... და ხან კერავს
112. ქედი რუსეთში
113. ურწმუნო ადამიანი
114. საბავშვო პოეტი ... ბარტო
115. ნიშნავს დაკვირვებას
116. ... ბედის მონახევრეა
117. ჩხუბი
118. ნათურის აჟურული საფარი
119. „მთვარის მოტაცება“ თარაშ ...
120. გოია. „შიშველი ...“
121. გიგანტური ზომის ადამიანი
122. ხის თხელი ფურცელი
123. ყურძნის ჯიში
124. ქვა აგდო და ... შეუშვირა
125. მარკების შეგროვება
126. ავადმყოფი, ანუ ...
127. ჯარისკაცი (ძვ.)
128. შოლოხოვი. „წყნარი ...“
129. ადამიანშებმული ეტლი
130. მუცლის ღრუდან გამოსული ნაწლავი
131. ფიქრები მომავალზე
132. დრო
133. დაბა. აწარმოებენ შაქარს
134. ლეშისმჭამელი ფრინველი
135. ქიმიური ჭურჭელი
136. ... მტრობას დაუნგრევია
137. ფეხბურთელი ფაბრიციო ...
138. რიცხვი 3,14
139. მათემატიკური უცნობი
140. „რა? ...? როდის?“
141. მსხლის ჯიში
142. მსახიობი ... ტაილერი
143. ტაბლეტი
144. ნაბიჯი ბალეტში
145. იტალიური ავტომობილი
146. მკვეხარა
147. ლატვიის დედაქალაქი
148. დაბალფასიანი, ანუ ...
149. ... პუგაჩოვა
150. მდინარე კახეთში
151. მსახიობი ... კახიანი
152. რაინდის ლითონის სამოსი
153. ნიშნავს ქვას
154. ... ზვინში ნემსს ვერ იპოვი
155. „...დაიხოცნენ მერე იქორწინეს“
156. მსახიობი ... პაჩინო



პასუხები: 1. ანშლაგი; 2. მილიონი; 3. კუნძული; 4. მარსი; 5. ბრიტნი; 6. კამელიებით; 7. აერობიკა; 8. პორტიე; 9. „აბბა“; 10. კარა; 11. მე; 12. კრისი; 13. ნიუსი; 14. ანტიკვარი; 15. ლუვრი; 16. ისტორია; 17. როტაცია; 18. ვიოლეტა; 19. ურდული; 20. რაინი; 21. ალპინისტი; 22. გენუა; 23. ინსულინი; 24. ედელვაისი; 25. დრიუ; 26. ბატონები; 27. აცეტონი; 28. იტრია; 29. საირმე; 30. პოლიცია; 31. რეესტრი; 32. ივრითი; 33. ცისტიტი; 34. პაზოლინი; 35. ომნიბუსი; 36. ოდესა; 37. კურო; 38. არნოლდ; 39. რიურიკი; 40. ადრიატიკა; 41. ტიტანი; 42. ანი; 43. რუბენსი; 44. რონა; 45. ლაითური; 46. „კუკარაჩა“; 47. კარბიდი; 48. რქოვანა; 49. ლედი; 50. ნატო; 51. ზებუ; 52. ქილია; 53. ვისკი; 54. ლესია; 55. პიკნიკი; 56. პიანო; 57. ნილოსი; 58. რკო; 59. კივი; 60. კიკუ; 61. რასელი; 62. ჩვარი; 63. ნაბოკოვი; 64. ორბელიანი; 65. კოსოვო; 66. ლოსიონი; 67. გიბრალტარი; 68. გიმნაზია; 69. აზოვი; 70. გაიდაი; 71. ფარა; 72. ლოსი; 73. სელი; 74. ბაგრატიონი; 75. ლავანდა; 76. კალენდარი; 77. კენტავრი; 78. დაქტილოსკოპია; 79. ესკალატორი; 80. ინაუგურაცია; 81. ეტნა; 82. ბარაქალა; 83. ტარანტასი; 84. ვოდევილი; 85. იფქლი; 86. კიჭი; 87. სე; 88. ქონი; 89. ჭიგო; 90. ნაბახუსევი; 91. ღიპი; 92. ტუნისი; 93. ჭიანჭველა; 94. ადანი; 95. ვინტი; 96. ალმოდოვარი; 97. სისხამი; 98. ინა; 99. ფრი; 100. პოსეიდონი; 101. გაგა; 102. სადაფი; 103. ამირან; 104. ზარალი; 105. ოფლი; 106. ჭუჭრუტანა; 107. ანოდი; 108. ლოქო; 109. სოსო; 110. სირმა; 111. ჭრის; 112. ურალი; 113. ათეისტი; 114. აგნია; 115. სკოპია; 116. ცდა; 117. დავა; 118. აბაჟური; 119. ემხვარი; 120. მახა; 121. გოლიათი; 122. ფანერა; 123. პინო; 124. თავი; 125. ფილატელია; 126. სნეული; 127. სალდათი; 128. დონი; 129. რიქშა; 130. თიაქარი; 131. ოცნება; 132. ჟამი; 133. აგარა; 134. სვავი; 135. სინჯარა; 136. რაც; 137. რავანელი; 138. პი; 139. იქსი; 140. სად; 141. გულაბი; 142. ლივ; 143. აბი; 144. პა; 145. „ფიატი“; 146. ბაქია; 147. რიგა; 148. იაფი; 149. ალა; 150. ალაზანი; 151. იმედა; 152. აბჯარი; 153. ლითი; 154. თივის; 155. ჯერ; 156. ან. იკითხება: სირტაკი.

# ესპანური საფეხბურთო კლუბი გულშემატკივრებისგან სპერმას ითხოვს



ლუდი იყოს, ან სხვა ნებისმიერი ალკოჰოლური სასმელი, კი ეტყვი კაცს: „მაიტა, ერთი, ჩამოასხი, შენს გახარებასო“, მაგრამ სპერმაზეა ლაპარაკი, კაცო, სპერმაზე!..

როგორც ირკვევა, ესპანური საფეხბურთო კლუბი „ხეტაფე“ გულშემატკივრებს სთხოვს, სპეციალურ სამედიცინო დაწესებულებებში სპერმის ჩაბარება დაიწყონ.

ფეხბურთელების თქმით, კამპანიის მიზანია გულშემატკივართა რაოდენობის გაზრდა. აქციას სახელიც შესაბამისი აქვს: „სიენდო მას, სერემოს მას გრანდეს“, ანუ „რაც უფრო ბევრნი ვართ, მით უფრო გავძლიერდებით“.

„ხეტაფეს“ მიერ წამოწყებული კამპანიის მხარდასაჭერად შესაბამისი ვიდეორგოლიც მომზადებულია, რომელშიც ნათქვამია, რომ გასულ სეზონზე კლუბის საშინაო მატჩებს გულშემატკივრების უმნიშვნელო რაოდენობა ესწრებოდა. სწორედ ამიტომ, სპერმა მათ აუცილებლად უნდა გაიღონ და რაც შეიძლება, ხშირად.

*etotupo.ru*

# ნიუ-იორკში ტუალეტი-კლუბი გაიხსნა



ამ უცნაური დაწესებულების მეპატრონეებმა სულ ხუთი ადამიანი დაასაქმეს, სამსახურის მიღება კი შეძლეს მხოლოდ მათ, ვინც კომუნიკაბელობით, მხიარულობით, ენერგიულობითა და თქვენ წარმოიდგინეთ, შემოქმედებითი ხასიათით გამოირჩეოდა.

ტუალეტი-კლუბის მფლობელთა განმარტებით, მათ თანამშრომლებს ევალებათ შენობაში სისუფთავისთვის თვალყურის მიდევნება და სტუმრების გართობა.

როგორც ირკვევა, თითოეული ოთახი უნიკალურია და სტუმრებს სთავაზობს ტელევიზორს, აიპოდს, კომპიუტერს და ცხადია, კომფორტულ უნიტაზს.

გარდა ამისა, ოთახების კედლებზე ნებადართულია წარწერების გაკეთებაც.

ამერიკული მედიის ინფორმაციით, აღნიშნული პროექტი დროებითია და მისი ხანგრძლივობა 1,5 წელიწადია, თუმცა დანიშნულების შესახებ არავინ არაფერს ამბობს. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ტუალეტი-კლუბის თანამშრომლები აღნიშნული დროის მანძილზე ხელფასის სახით 10 ათას აშშ დოლარს მიიღებენ.

*lenta.ru*

# ინგლისელ პენსიონერს 100 წლის იუბილე მამაკაცის სტრიპტიზით მიულოცეს




გული დარჩენია, ხალხო, უბერებელი 100 წლის კლერ ორმისტონს და როცა ქალიშვილმა ჰკითხა, რა საჩუქარს ისურვებდა დაბადების დღეზე, მას მაშინვე უთქვამს, რომ ჯერ კიდევ ბავშვობისდროინდელი ოცნება იყო მთვარეზე პატარა ნაკვეთი ჰქონოდა...

ექიმების დიაგნოზით კლერ ორმისტონი სავსებით საღ ჭკუაზეა და ყველაფერს შეგნებულად აკეთებს და ლაპარაკობს...

ჰო, იმას გეუბნებოდით, რომ ბუნებრივია, ქალიშვილმა იუბილარ დედას უარი უთხრა მთვარესთან დაკავშირებულ სურვილზე და სხვა, რიგით მეორე სანუკვარი ოცნების გამხელა სთხოვა.

– მან მაშინვე დაუფიქრებლად მიპასუხა: სტრიპტიზიორი, – ყვება იუბილარის ქალიშვილი მარგარეტ ორმისტონი.

მართალია, მას დედის ეს სურვილიც, ცოტა არ იყოს, უჩვეულოდ მოეჩვენა, მაგრამ უარი აღარ უთქვამს და მოხუცებულთა თავშესაფარში, სადაც კლერ ორმისტონი უკვე კარგა ხანია ცხოვრობს, სტრიპტიზის მოცეკვავე მამაკაცი მიუყვანია.

– ძალიან მომეწონა, – კმაყოფილი დარჩა იუბილარი პერსონალურად მისთვის შესრულებული ეროტიკული ცეკვით, თავად მოცეკვავე კი გამოტყდა, რომ 16 წლიან კარიერაში მსგავსი უჩვეულო შეკვეთა არ ჰქონია.

*lenta.ru*

# ყავის დეგუსტატორმა ცხვირი 2 მილიონ ფუნტად დაიზღვია



როცა ადამიანს განსაკუთრებული უნარი გაქვს, უნდა მოუფრთხილდე და ცივი ნიავი არ მიაკარო, თუნდაც ყველაზე უცნაური ნაბიჯის გადადგმა მოგიხდეს.

ჯენიფერ ლოპესის საჯდომის დაზღვევა ხომ ყბადაღებული თემაა, მაგრამ აბა, ქნევის გარდა, უკანალს რა უნარი უნდა ჰქონდეს? არც არაფერი! ხომ მაინც დააზღვია ექსცენტრიკულმა მომღერალმა სხეულის ეს ნაწილი 30 თუ 300 მილიონ დოლარად? ჰოდა, ყავის დეგუსტატორის 2-მილიონიანი ცხვირი რაღა გასაკვირია.

როგორც ირკვევა, კონცერნ „ნესტლეს“ მთავარმა დეგუსტატორმა დეივ რობერთსმა ცხვირი 2 მილიონ ფუნტ სტერლინგად (დაახლოებით 3 მილიონი აშშ დოლარი) დაიზღვია.

დეივ რობერთსი ის კაცია, რომელიც ყავის ყველაზე შეუმჩნეველ სურნელსაც კი ცნობს და შეუძლია იმის თქმა, დედამიწის რომელ წერტილშია მისი ნაყოფი მოყვანილი.

თავად დეივ რობერთსი ამბობს, რომ ყავის დეგუსტატორის პროფესია ბავშვობიდან აირჩია, რადგან მის სახლში ეს სასმელი უსაზღვროდ პოპულარული იყო.

– ერთ-ერთი ყველაზე შორეული მოგონებაა, როცა ბებიაჩემი სამზარეულოში ყავას ხარშავდა და საოცარი არომატი მთელ სახლში ვრცელდებოდა, – ამბობს მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ცხვირის მქონე ადამიანი.

დეივ რობერთსისა და ჯენიფერ ლოპესის გარდა, ბევრი ცნობილი ადამიანი იზღვევს სხეულის სხვადასხვა ნაწილს. მაგალითად, „როლინგ სთოუნის“ გიტარისტმა კიტ რიჩარდსმა ხელი – 1,6 მილიონ ფუნტ სტერლინგად, ხოლო ფეხბურთელმა დევიდ ბექჰემმა სხეული 100 მილიონ ფუნტ სტერლინგად დაიზღვია.

*rokf.ru*

# შორტების ჩაცმა პეტერბურგში ხულიგნობად მიიჩნევა?



ცოტა არ იყოს, ადრეა ჯერ შორტების ჩაცმის სეზონზე საუბარი, რადგან გაზაფხული ჯერ ხეირიანადაც არ შემოსულა და მით უფრო უაზრობაა აკრძალვების დაწესებაზე ზრუნვა, თუმცა რა გინდა, რომ ქნა?!.

ისე, არ თქვათ ახლა, ფოტოებზე რომ გოგონებს აცვიათ, ეგ შორტები არ არისო. აბა, ბანჯგვლიან ფეხებიანი მამაკაცების სურათს ხომ არ დავურთავდით ამ ამბავს? ჰოდა, საამო არის საცქერად ეს ფოტოები, მაგრამ რუსები კი ამბობენ, ხულიგნობაა შორტების ჩაცმაო.

– სანკტ-პეტერბურგში შორტების ჩაცმა ხულიგნობას უნდა გაუთანაბრდეს, – ასეთი ინიციატივით გამოდის რუსი ექსპერტი ეტიკეტის საკითხებში, რომანოვების გვარის ასოციაციის წარმომადგენელი ივან არციშევსკი.

მისი თქმით, პეტერბურგელები უნდა აცნობიერებდნენ, რომ მათი გარეგნობა ხშირად არ შეესაბამება „ადგილის სტატუსს“.

– ბიკინებით ხომ არ წავალთ მარიინსკის თეატრში, იმიტომ, რომ იქ ცხელა? პეტერბურგში კი არის არა მხოლოდ თეატრები, არამედ ერმიტაჟი, რუსული მუზეუმი, ნევის პროსპექტი, – ამბობს არციშევსკი.



ახლა, თეატრსა და ერმიტაჟში თუ დადიან პეტერბურგელები შორტებით, კი შეიძლება მათ შენიშვნა მისცე და ურჩიო რაღაც, მაგრამ ხულიგნად შერაცხვა მაინც ცოტა უცნაურად მიგვაჩნია.

უნდა ითქვას, რომ ჩაცმულობის პრობლემის საკითხები ანერვიულებთ არამხოლოდ პეტერბურგელ სპეციალისტებს. მაგალითად, ინგლისურ ბრაიტონსა და ჰოუვში ტრანსპორტის კომპანიამ სასტიკად აკრძალა ავტობუსებში იმ მგზავრების ასვლა, რომლებსაც მაისურები არ ეცვათ. კომპანიაში განმარტავენ, რომ აკრძალვის შემოღება გასული წლის ზაფხულში გადაწყვიტეს, რისი მიზეზიც ძლიერი სიცხე და მგზავრების ოფლიანობა გახდა – ავტობუსების სავარძლები გვილაქავდება და ტანსზემოთ შიშვლებს აღარ მოვემსახურებითო.

*rian.ru*



# კანალიზაციაში ტელეფონს ჩაყოლილი მამაკაცი მილში გაიჭედა

არა, ნებისმიერი რამის დავარდნა ძალიან ცუდი რამეა, არ ვკამათობთ, მაგრამ თავი კი არ უნდა გაწირო, შე კაცო?

როგორც ირკვევა, ამერიკის ქალაქ ცერესის მკვიდრი კანალიზაციის მილში იმ დროს გაიჭედა, როცა იქ ტელეფონი ჩაუვარდა და შეეცადა, ნივთი როგორმე საბოლოოდ არ დაეკარგა.

თურმე, 21 წლის ჯარედ მედეიროსი მეგობართან სტუმრად მიდიოდა. გზაში უეცრად რამდენიმე მამაკაცი თავს დაესხა და გემრიელად მიჟეჟა. შეხლა-შემოხლის დროს მედეიროსს ტელეფონი კანალიზაციაში ჩაუვარდა და მისი ამოღების მცდელობისას უხერხულ პოზაში გაიჭედა.

მიჟეჟილ-დაზარალებული ჯარედ მედეიროსი ასე მესერში გაკვეხებული გოჭივით მთელი 40 წუთი წვალობდა, თუმცა საკუთარ თავს ვერაფერი უშველა. საბოლოო ჯამში, ადგილზე პოლიცია მივიდა და კანალიზაციის ტყვეობაც მართალია, რამდენიმესაათიანი წვალების შედეგად, მაგრამ მაინც მშვიდობიანად დასრულდა.

*etotupo.ru*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

1. იაზონის გემი
2. ვულკანი სიცილიაზე
3. „ფანტომასი“. ჟან ...
4. თხის ტყავის ქურქული
5. ექიმი. შეისწავლა ჩიყვი
6. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა
7. მსახიობი მარისა ...
8. მოგზაური ... პოლო
9. მსახიობი ბარბარა ...
10. სპირალურად დახვეული მავთული
11. მსახიობი ... ჰანა
12. მორიგე დარაჯი
13. სავალი ნაწილი ქუჩის გვერდით
14. ქართ. მიწათმოქმედების სტილი
15. აფრული ცეკვა
16. რეგბისტის ჯგუფი
17. უძღვ. კაპრალი ... ბოლოზე
18. მეფის ოლიმპიური ... ბარბარა
19. მსახიობი კევინ ...
20. სხვანაირი სამხ. ამერიკაში
21. კურორტი ხმელ-თან
22. ფეხბურთის კორტის გასაგდები
23. მსახიობი ... გარდნერი
24. ტაბლეტი
25. ნორჩი გადასარგავი ბუჩქი
26. „შესანიშნავი შვიდეული“ პერსონაჟი
27. ყველაზე პატარა ფრინველი
28. მწერალი ... კეროლი
29. პერის ნაცვალსახელი
30. პარფიუმ. ფირმა „... პარი“
31. თურქეთის დედაქალაქი
32. ფეთქებადი ნივთიერება
33. კუბური ცეკვა
34. მსახიობი ბრიუს ...
35. ხელის სავარცხელი
36. კურორტი სოჭის ახლოს
37. ველორბოლის მოედანი
38. კოლოვი. „მგელი და ...“
39. თავაშვებული ლოთობა
40. მომღერალი ... კალასი
41. კურტ კობეინის ჯგუფი
42. „ვეფხისტყაოსანის“ პერსონაჟი
43.

44.

45. ... ცოცხი კარგად გვის
46. ქალაქი პოლონეთში
47. პარაზიტი ჭია ადამიანის ნაწლავში
48. მტაცებელი ცხოველის მდედრი
49. ... კაზინსკი
50. ცხადე ფილმში „ქალაქი ...“
51. ქალაქი კახეთში
52. კუბის დედაქალაქი
53. მცენარე. ინსამს ყურძენს
54. მდინარე ქუთაისში
55. მხედველობის ორგანო
56. ღრმული წყნარ ოკეანეში
57.

58. მომღერალი ... ვისოცკი
59. ჭურჭლის ცხენი
60. უკანონოდ მონადირე
61. საფეხურებიანი ასასვლელი
62. მსახიობი ... ჩურიკოვა
63. „მონადირე“ ფოტოგრაფი
64. ინგლისური ოქროს ფული
65. ლოთონის რიკული ფანჯარაზე
66. მცვარონი კოტლეტის გვერდით
67. მტაცებელი ცხოველის მამრი
68. ყვავილი
69. მდინარე კახეთში
70. სარწმუნოების ზოგადად
71. ებრაელთა სალოცავი ტაძარი
72. „მე, ბებია, ... და ილარიონი“
73. ყმაწვილი ცეკვის ფორმებით
74. საოცრება: როდოსის ...
75. პოტარკი და ...
76. გასაკეთებელი მეზობელი საქონელი
77. ინგლისელი პოეტი
78. ყვავილი
79. ... ყანწი
80. ნოტი, რომლის ქლერადონაზე ორკესტრის ინსტრუმენტები ეწყობა
81. ციტრუსი
82. ძვირფასი ლითონი, რომელთანაც არის დაკავშირებული „ვერიცა“
83. უეცარი შიშის სინონიმი
84. სომხეთის ძველი დედაქალაქი
85. ყაიმი
86. რომელიმე ორგანოს დასუსტება
87. მზის სისტემის პლანეტა
88. ... შვარცენეგერი
89. მათემატიკური შეკრების შედეგი
90. „ჯვგვლისმჭამელი“ პერსონაჟი
91. გოგო ...
92. რძის პროდუქტი
93. მსახიობი მეგი ...
94. თმაზე შეზმული ლენტი
95. მან აავო კიდობანი
96. მხატვარი ... და ვინჩი
97. ანდერსენის ზღაპრის ფილმში
98. კატის ნამცერი
99. ბილიარდის ჯოხი
100. ქალაქი საფრანგეთში
101. ქალაქი საფრანგეთში
102. ფეხბურთელი დიეგო არმანდო ...
103. ტელეკომედი
104. დანისებული გადასახადი დეზზე
105. მსახიობი ვიქტორ ...
106. ... დოლიძე
107. ყვავილი
108. ბიჭუნა ბაბილოდუნზე (ზღაპ)
109. დოუმა. „დედოფალი ...“
110. ნოხი
111. შოუდან: ვასო ...
112. ... უილდი
113. ვაჟიშვილი
114. საბჭოთა პროლეტარ. ბელადი
115. გერმანული ავტომობილი
116. კლდე წყალში
117. ფრინველი
118. ზღვის ფრინველი
119. ხარებთან ბრძოლა
120. ჩანჩქერი აშშ-ში
121. მდინარე იტალიაში
122. იაპონ. ჭადრაკი
123. ცელქი
124. ბერძნული ცეკვა
125. გარეული ფრინველი
126. ხორციანი კერძი
127. სასიმინდე
128. რუსი კომპოზიტორი
129. მწყემსის მოსასხამი
130. მსახიობი მონიკა ...
131. მწერალი ... იოსელიანი
132. მსახიობი ... დემინგო
133. ... ბადურაშვილი
134. იანის საპირისპირო
135. მხ/ფ „... ოკეანის საიდუმლოება“
136. საინფორმაციო დაფა სტადიონზე
137. სამიანი ნარდში
138. სრული დასრულება კონცერტზე
139. დამარილებული თევზი
140. ზღვის მეორეფეხე ყმაწვილი
141. ჟამი
142. ტიბეტური ხარი
143. ბერძ. აბანის პირველი ასო
144. ფეხბურთის მსოფლიო ფედერაცია
145. ბრინჯის კერძი
146. გოლიათი ქართ. ზღაპრებში
147. კაზინოს მომსახ. პერსონალი
148. იოგების გამოყენებული ხერხი
149. ალკოჰოლური სასმელი
150. ხელოვნური ენა

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. რეჟისორი სერგეი ...
2. ოთხიანი ნარდში
3. სახელმწ. ცენტრ. ამერიკაში
4. ტბა აფრიკაში
5. ზღვის ძუძუმწოვარი
6. მსახიობი იულ ...
7. დასასვენებელი ანუ ... ზონა
8. ბრტყელი თევზი
9. ტარზანის როლში ჯონი ...
10. სამაგიდო თამაში
11. მსახიობი ... კახიანი
12. კოლხი მედეას მამა
13. მონღოლი ჯარისკაცი
14. ბეზეს დესერტი
15. უკრემო ნამცხვარი
16. მსახიობი ... ჰაიეკი
17. ბალზაკი. „მამა ...“
18. კომში
19. მტაცებელი ფრინველი
20. ზამთრის სამოსი
21. გიორგი სააკაძის სოფელი
22. სამშენებლო მასალა
23. ცეცხლის მოკიდების პროცესი
24. სამხ. აფრიკის ფულის ერთეული
25. ბელგიის დედაქალაქი
26. ბალერინა მაია ...
27. მსახიობი ... დელონი
28. მსახ. ... მაკგრეგორი
29. მომღერალი ... ჯოხაძე
30. ავგაროზი
31. ძველმანი ნივთები
32. კაკაოიანი კანფეტი
33. სოფელი ხაშურის რაიონში
34. შინაური ცხოველი
35. მოწაფის საზაფხულო შესვენება
36. რიცხვი ექვსი ნოლით
37. ფედერიკო გარსია ...
38. სურნელოვანი წყალი
39. საწვავი სითხე
40. მეკარე (მოძვ.)
41. საპალტოე ქსოვილი
42. სახელმწიფო ევროპაში
43. სმენადაქვეითებული
44. მტაცებელი ფრინველის ფრენა
45. მევიოლინე ლიანა ...
46. „ბერნარდა ალბას ...“
47. ყველაზე მაღალი ხე
48. მსახიობი ... სუეიზი
49. ადგილი შუბლთან
50. მსახიობი ... როკი
51. იტალიის დედაქალაქი
52. მსახიობი გეიდარ ...
53. საკლასო ოთახის ინვენტარი
54. ... მელა-საო, მოუმატა კბენა-საო
55. სიმინდის ყვავილედი
56. ჩხუბი, ხმაური
57. ... ურჩევნია მამულსა
58. ბუდისტი მღვდელი
59. ყველაზე ღრმა ტბა
60. ... ნასრედინი
61. ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტო
62. მწერალი რედიარდ ...
63. ქალაქი ბელორუსში
64. სპექტაკლი „ძველი ...“
65. სოფელი გორის რაიონში
66. წონის ძველი ერთეული
67. ქალაქი აშშ-ში
68. წარწერა საფლავის ქვაზე
69. სია
70. მსახიობი ... ტაილერი
71. ალკოჰოლური სასმელების ნარევი
72. „ღვინის ქურდები“ კავსაძე
73. ჩუქურთმა
74. ხის ჯიში
75. ... გოძიაშვილი
76. ნორვეგიის დედაქალაქი
77. მწვადის შესანვავი ღუმელი
78. გურული ხალხური სიმღერა
79. ძვ. ქართ. თამაში ქამრებით
80. ანტილოპას სახეობა
81. სწავლის ... მწარე არის
82. მსახიობი ... მარტინი
83. კაციჭამია
84. დღესასწაული ესპანეთში
85. საბჭოთა ხუთოსანი, ანუ ...
86. სიღრმეში ჩამდგარი წყალი
87. ცხენების ჯოგი
88. ბრინჯის კერძი
89. მხატვარი ანრი ...
90. მეზღაპრე ... პერო
91. გაფუჭებული კვერცხი
92. სომხეთის დედაქალაქი
93. მოთიბული გამხმარი ბალახი
94. დედამიწის მიზიდულობა
95. ხორბლის შესანახი შენობა
96. მსახიობი ოსვალდო ...
97. პირველი ოთხნიშნა რიცხვი
98. მთათა სისტემა ...-შანი
99. ნიავი
100. შიიზმის მიმდევარი
101. ისრაელში მცხოვრები ებრაელები
102. გათბობის საბჭოთა სისტემა
103. მხედველობის ორგანო
104. მტაცებელი თევზი ამაზონში
105. მიმართვა ვაჭრისადმი ძველად
106. ქალის ხსენება იტალიაში
107. ქურციკი
108. მოაჯირიანი ასასვლელი
109. ძვ. ქართ. სამედიც. ენციკლოპ.
110. მსახიობი კამერონ ...
111. პერსონა ...-გრატა
112. მსახიობი ბენისიო ... ტორო
113. მწერალი ჟორჟ ...
114. ... მჯდომი მენავეს ეჩხუბებოდაო
115. ჩეხური ავტომობილი
116. კომპოზიტორი ედვარდ ...
117. ალკოჰოლური სითხე
118. ყურძნის დადუღებული წვენი
119. მოუხარშავი
120. ქიაჩელი. „... ბიგვა“
121. გემის მოძრავი კიბე
122. ხელის საგრილებელი
123. კომპოზიტორი ჯუზეპე ...
124. ვიოლინოს წინაპარი
125. შენობა ინახავენ ფულს
126. მდინარის დატოტვილი შესართავი
127. მსახიობი ოდრი ...
128. კავშირებითი სიტყვა
129. ქიმიური ჭურჭელი
130. მომღერალი ... კუტუნიო
131. თეატრალური ხელოვნ. ჟანრი
132. სამკაციანი ანსამბლი
133. მდინარე კახეთში
134. მწერალი ალექსანდრე ...
135. მიმართვა ფრანგთა მეფისადმი
136. თეატრის ფიცარნაგი
137. მდინარე აფხაზეთში
138. მსახიობი ... ჰარისი
139. წყალქვეშა კლდე
140. ... სუხიშვილი
141. ... კუზანოვი
142. ზამბახი
143. ციხესიმაგრე. იჯდა აბატი ფარია

პასუხები: 1. ფარაჯანოვი; 2. ჩარი; 3. გვატემალა; 4. ნიასა; 5. ლამანტინი; 6. ბრინერი; 7. რეკრიაციული; 8. კამბალა; 9. ვაისმიულერი; 10. დომინო; 11. იმედა; 12. აიეტი; 13. ცირიკი; 14. მუსი; 15. ბისკვიტი; 16. სალმა; 17. გორიო; 18. ბია; 19. მიმინო; 20. პლატო; 21. ნოსტე; 22. ცემენტი; 23. აალება; 24. რენდი; 25. ბრიუსელი; 26. პლისეცკაია; 27. ალენ; 28. ევან; 29. ანრი; 30. თილისმა; 31. ხარახურა; 32. შოკოლადი; 33. ქვიშხეთი; 34. თხა; 35. არდადეგები; 36. მილიონი; 37. ლორკა; 38. ოდეკოლონი; 39. ნავთი; 40. გოლკიპერი; 41. დრაფი; 42. ნიდერლანდი; 43. ყრუ; 44. ირაო; 45. ისაკაძე; 46. სახლი; 47. სეკვოია; 48. პატრიკ; 49. საფეთქელი; 50. კრის; 51. რომი; 52. ფალავანდიშვილი; 53. დაფა; 54. აპატიეს; 55. ტარო; 56. აყალმაყალი; 57. ის; 58. ლამა; 59. ბაიკალი; 60. მოლა; 61. როიტერი; 62. კიპლინგი; 63. ბრესტი; 64. ვოდევილები; 65. ძევერა; 66. ოყა; 67. სიეტლი; 68. ეპიტაფია; 69. რეესტრი; 70. ლივ; 71. კოქტეილი; 72. ელიბო; 73. ორნამენტი; 74. ტირიფი; 75. ვასო; 76. ოსლო; 77. მაყალი; 78. „ხასანბეგურა“; 79. ლახტი; 80. გნუ; 81. გირი; 82. სტივ; 83. ოგრი; 84. ფიესტა; 85. ფრიადოსანი; 86. გუბე; 87. რემა; 88. ფლავი; 89. მატისი; 90. შარლ; 91. ლაყე; 92. ერევანი; 93. თივა; 94. გრავიტაცია; 95. ბეღელი; 96. რიოსი; 97. ათასი; 98. ტიან; 99. სიო; 100. შიიტი; 101. საბრა; 102. რადიატორი; 103. თვალი; 104. პირანია; 105. ალა; 106. სინიორა; 107. ნიამორი; 108. კიბე; 109. კარაბადინი; 110. დიასი; 111. ნონ; 112. დელ; 113. სიმენონი; 114. ნავში; 115. „შკოდა“; 116. გრიგი; 117. სპირტი; 118. ბადაგი; 119. უმი; 120. გვადი; 121. ტრაპი; 122. მარაო; 123. ვერდი; 124. ვიოლა; 125. ბანკი; 126. დელტა; 127. ტოტუ; 128. რომ; 129. სინჯარა; 130. ტოტო; 131. ტრაგედია; 132. ტრიო; 133. იორი; 134. დიუმა; 135. სირ; 136. სცენა; 137. კელასური; 138. ედ; 139. რიფი; 140. ილიკო; 141. ივა; 142. ირისი; 143. იფი. იკითხება: ჯიმ კერი.



– სულ მალე სიგარეტის ყიდვისას ნებისმიერი მწეველი იაპონელი ვალდებული იქნება, მაღაზიის გამყიდველს სურათიანი და მიკროჩიპიანი ბარათი წარუდგინოს სრული იდენტიფიკაციისთვის. ასეთი სისტემის შემოღების ინიციატივა იაპონიის თამბაქოს მწარმოებელმა კომპანიებმა გამოთქვეს, რათა არასრულწლოვანებისთვის სიგარეტის ყიდვა კიდევ უფრო გართულდეს.

– დაახლოებით 100 წლის წინათ, როცა ამერიკის მრავალსართულიან კორპუსებში აბაზანების დამონტაჟება დაიწყეს, უმრავლესობა ვერც კი ხვდებოდა, რაში იყო საჭირო ეს მოზრდილი თუჯის აუზი. მომავალშიც ბევრმა მაინც ვერ ისწავლა აბაზანით სარგებლობა და იქ ხან ნახშირს ინახავდა, ხან – შეშას, ზოგი კი საერთოდაც, მასში ნაგავს ყრიდა. თუკი სააბაზანოს დიდი ფანჯარა ჰქონდა, საიდანაც მზის სხივები ოთახში კარგად აღწევდა, ამერიკელები აბაზანაში ბოსტნეულს თესავდნენ.

– მოსკიტების შერწყმის პროცესი მაქსიმუმ 3 წამს გრძელდება.

– დაუჯერებელია, მაგრამ შესაძლებელი ყოფილა, ადამიანი ცხენზე სწრაფად დარბოდეს. წარმოუდგენელი რეკორდი ბრიტანელმა მარათონელმა დაამყარა, რომელმაც მთელი მსოფლიოს გასაკვირად, ცხენი სირბილში დაჯაბნა. უკვე 25 წელია, რაც უელსში იმართება სპორტული ღონისძიება, რომელშიც ადამიანები ცხენებს ეჯიბრებიან. რაღა თქმა უნდა, ამ ხნის მანძილზე ვერავინ შეძლო, ცხოველისთვის გაესწრო, თუმცა ეს ლოგიკური ჯაჭვი მაშინ დაირღვა, როცა ჰორიზონტზე ბრიტანელი მარათონელი ჰიუ ლობი გამოჩნდა. მან 35-კილომეტრიანი დისტანციის დაფარვას 2 საათი, 5 წუთი და 19 წამი მოანდომა, ყველაზე სწრაფმა ცხენმა კი ფინიშის ხაზი მხოლოდ 12 წუთის შემდეგ გადაკვეთა. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ცხენებმა სტარტი ადამიანების შემდეგ, 15 წუთის დაგვიანებით აიღეს, თუმცა ჰიუ ლობის რეკორდი მაინც უპრეცედენტოდ ჩაითვალა და მას 25 ათასი ფუნტი სტერლინგი გადაეცა.

– მიმდინარე ათასწლეულის ყველაზე ხანგრძლივი მზის დაბნელება 2010 წლის 15 იანვარს დაფიქსირდა. ტროპიკული აფრიკისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ტერიტორიაზე პროცესი 11 წუთზე მეტხანს გაგრძელდა. საინტერესოა, რომ მეცნიერები ამ რეკორდის გაუმჯობესებას მხოლოდ 3043 წელს პროგნოზირებენ.

– მზის დაბნელებისას მეტეომგრძნობიარე ადამიანებში ხშირად შეინიშნება მღელვარება და შფოთვა საკუთარი და ახლობლების მდგომარეობის გამო. რა იწვევს ამ უსიამოვნო მოვლენას, სპეციალისტები ვერ ხსნიან, თუმცა ასეთ ადამიანებს ურჩევენ, ზომებს წინასწარ მიმართონ და მზის დაბნელებას მომზადებულები შეხვდნენ, რადგან არსებობს რეალური საშიშროება, რომ მათ ფსიქიკას სერიოზული ზიანი მიადგება.

# ყველაზე საინტერესო ფაქტები

– საინტერესო შედეგი მიიღეს მეცნიერებმა ღრმა წყლებში მობინადრე გომბეშოსმაგვარი თევზების, იმავე ზღვის ეშმაკების შესწავლისას. აღმოჩნდა, რომ შერწყმის დროს მამრი ზღვის ეშმაკი მდედრს სპერმის სანაცვლოდ სისხლს წოვს. აქტის დასრულების შემდეგ კი ისინი ერთმანეთს ებმებიან და ასე აგრძელებენ ცხოვრებას სიცოცხლის ბოლომდე. მეცნიერებმა ერთ მდედრ ზღვის ეშმაკში შეზრდილ ექვს მამრსაც კი მიაგნეს.

– აფრიკულ ხოჭოს ძალიან წვრილი სასქესო ორგანო აქვს, მაგრამ სიგრძე მისი სხეულის დაახლოებით ორ მესამედს შეადგენს. ეს იგივეა, რომ მამაკაცის პენისის ზომა 120 სანტიმეტრი იყოს.



– ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა რვაფეხების გამრავლება. კერძოდ, მამრი რვაფეხები განაყოფიერების შემდეგ მდედრებში სასქესო ორგანოებს ტოვებენ, თუმცა მოგვიანებით მათ ახალი ორგანო ეზრდებათ. მეთევზეებს ძალიან ბევრჯერ უპოვიათ მდედრი რვაფეხას ორგანიზმში ასეთი „საჩუქრები“.

– ღმერთებისთვის პატივის მიგების ძალიან უცნაური ხერხი გამოიგონა მალაიზიელმა რელიგიურმა მოღვაწე ლიმ ბუნ ხვამ. ის საჯაროდ ჩაჯდა ცეცხლზე შემოდგმულ უზარმაზარ ჭურჭელში და ნახევარი საათის განმავლობაში პელმენებთან და სიმინდთან ერთად იხარშებოდა. როგორც ამტკიცებენ, ლიმ ბუნ ხვა უვნებელი დარჩა და უკვე ზედიზედ 4 წელია, ტურისტებისა და ადგილობრივი მორწმუნეებისთვის ასეთ აქციას მართავს.



– მართალია, არა მზის, მაგრამ მთვარის დაბნელებამ კი შიმშილით სიკვდილს გადაარჩინა ქრისტეფორე კოლუმბი 1504 წლის 1-ელ მარტს იამაიკაზე. თურმე, მისი მცდელობები, საჭმელი მოეპოვებინა, ადგილობრივების გაჯიქების გამო, უშედეგოდ სრულდებოდა. კოლუმბმა მთვარის მოსალოდნელი დაბნელების თარიღი ზუსტად იცოდა და გადაწყვიტა, ამ მოვლენით ესარგებლა. ის დაემუქრა ადგილობრივი ტომების ბელადებს, რომ, თუკი საჭმლითა და წყლით არ მოამარაგებდნენ, მნათობს მოჰპარავდა. პასუხად კვლავ უარი მიიღო და, როგორც იქნა, დადგა 1-ელი მარტი – მთვარე დაბნელდა, ხოლო შეშინებული აბორიგენებისგან კოლუმბმა რაც სურდა, ყველაფერი მიიღო.

– როცა კარლ V, წმინდა რომის იმპერიის მმართველი მორიგ ჯერზე წაეკიდა რომის პაპს, გაბრაზებულმა რომის შტურმით აღება ბრძანა. ერთ ღამეში მისმა ჯარისკაცებმა დაახლოებით 8 ათასი ქალაქელი მოკლეს.

– ეკატერინა მედიჩი, საფრანგეთის დედოფალი და რეგენტი (1519-1589) პროტესტანტების (ჰუგენოტების) წინააღმდეგ განხორციელებული მასობრივი ტერორის ორგანიზატორი გახლდათ. მიიჩნევა, რომ „ბართლომეს ღამის“ დროს პარიზში 2,5-დან 3 ათასამდე ჰუგენოტი მოკლეს, მთელ ქვეყანაში კი – თითქმის 10 ათასი.

– ოსმალეთის იმპერიის სულთანი სელიმ I მრისხანე (1467-1520) თავისი წარმოუდგენელი სისასტიკით ერთ-ერთი გამორჩეული მმართველია. სელიმ მრისხანეს მმართველობის პირველ ორ წელიწადში მისმა ჯარისკაცებმა დაახლოებით 40 ათასი ადამიანი მოკლეს.

*uralweb.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო



## ინფექციური დაავადებებისგან... საღეჭი რეზინი დაგიცავთ

შექმნილია ახალი პროდუქცია, რომელიც საკუთარ თავში მართლაც საოცარ თვისებებს აერთიანებს.

პირველ რიგში, სპეციალური საღეჭი რეზინი სამხედროებისთვის შეიქმნა, რომლებიც ცხელ წერტილებში იმყოფებიან და გასაგები მიზეზების გამო, პირად ჰიგიენაზე ზრუნვას ვერ ახერხებენ. გარდა ამისა, ახალი პროდუქტი არის არა მხოლოდ კბილის ჯაგრისისა და პასტის შესანიშნავი შემცვლელი, არამედ ბავშვებს ინფექციური დაავადებებისგანაც დაიცავს.

როგორც ირკვევა, კენტუკის უნივერსიტეტის სპეციალისტების მიერ შექმნილ საღეჭ რეზინს დამატებული აქვს ანტიბაქტერიული პრეპარატი „კა ეს ელი“, რომელიც სასურველ ეფექტს 20-30-წუთიანი ღეჭვის შემდეგ იძლევა და კბილის ნადებს სრულად ანადგურებს.

საქმე ის არის, რომ, როცა ადამიანი კბილის ნადებს დიდი ხნის განმავლობაში ვერ იშორებს, პირის ღრუში უამრავი მავნე ბაქტერია ჩნდება, ზოგ შემთხვევაში, ისეთებიც, რომლებიც სასიკვდილო თვისებებით გამოირჩევიან.

აქედან გამომდინარე, ამერიკელების მიერ შექმნილი საღეჭი რეზინი ნებისმიერი ადამიანის ჯანმრთელობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა პირველ ეტაპზე ის მხოლოდ სამხედროებსა და განუვითარებელი ქვეყნების მოქალაქეებს მიეწოდება.

*myjane.ru*



## ერთ-ერთი გენის მოცილება ადამიანს ოპტიმისტად გადააქცევს

ამ საკმაოდ დიდი უსიამოვნების გადალახვის ხერხი ამერიკელ მეცნიერებს გამოუძებნიათ. კერძოდ, კონტინენტსგაღმელებმა აღმოაჩინეს ერთ-ერთი გენი, რომელიც მღელვარებასა და ნერვიულობაზე ყოფილა პასუხისმგებელი და რომლის მოცილებას, თურმე, ტრანკვილიზატორის ეფექტი ჰქონია – უკვალოდ ქრება ყოველგვარი უსიამოვნო შეგრძნება და საკუთარი მომავალისადმი მხოლოდ იმედიანად იმსჭვალებით.

საქმე ეხება მერილენდის უნივერსიტეტის სწავლულების მიღწევას, რომლებმაც გენი, სახელწოდებით „პიკასი/ეიჩაიენტი1“ აღმოაჩინეს და რომლის დაბლოკვამ გაცილებით მეტი დადებითი ემოციის მოზღვავება გამოიწვია.

კვლევის ავტორი ელიზაბეტ ბარბიერი მიიჩნევს, რომ აღნიშნული გენის მოცილებას ადამიანის ფსიქოლოგიური მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება უმოკლეს დროში მოჰყვება.

რამდენად გაამართლებს ამერიკელების აღმოჩენა, ჯერჯერობით რთული სათქმელია, თუმცა იმას კი გეტყვით, რომ თანამედროვე მეცნიერება ამ დრომდე ვერაფრით ხსნის ადამიანის გუნება-განწყობის ცვლილებების ფიზიოლოგიურ მიზეზებს, რომლებსაც აპათია, დეპრესია და სხვა ფსიქოლოგიური აშლილობა მოსდევს.

ამ ახალი აღმოჩენით კი შესაძლოა, ყველაფერს ნათელი მოეფინოს და შესაბამისად, ადამიანების ცხოვრება უფრო ადვილი გახდეს.

*tainamira.ru*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



– არა, მე არ ვამტკიცებ იმას, რომ დედაშენი ცუდი მზარეულია, – ეუბნება ახალგაზრდა მამაკაცი საცოლეს, – მაგრამ, მგონი, ნელ-ნელა ვხვდები, რატომ ლოცულობთ ხოლმე ჭამის წინ...

*****

– სიკვდილი ადამიანთან შავებში ჩაცმული მოდის, ხელში ცელით.

ბუზებთან კი – ტრუსებსა და მაისურში გამოწყობილი, ხელში გაზეთით...

*****

– ძვირფასო, რა გაჩუქო 8 მარტისთვის? რაც გინდა აირჩიე: ბრილიანტის გულსაბნევი, ქურქი, ვილა ფრანგულ რივიერაზე...

– საყვარელო, მე შენგან მხოლოდ დღევანდელი საღამო მინდა, სხვა არაფერი...

– სტოპ, გადაღებულია, – გაისმა რეჟისორის ხმა...

*****

ორი ქერა ლიფტში გაიჭედა. ერთი აყვირდა:

– გვიშველეთ! გვიშველეთ!

მეორეს იდეა გაუჩნდა:

– მოდი, ერთად ვიყვიროთ...

– კარგი!

– ერთად! ერთად! ერთად!!!

*****

სიდედრმა ჯინსის გარეცხვა გადაწყვიტა და სანამ საქმეს შეუდგებოდა, შარვლის ჯიბეები ამოაცარიელა. ამოიღო ფული, გასაღებები, პრეზერვატივი... ცოლი გადაირია და ქმარს გრანდიოზული სკანდალი მოუწყო. საწყალი ქმარი თავის გასამართლებლად ხმასაც კი ვერ იღებს. გავიდა ასეთ აყალმაყალში ორი საათი.

ბოლოს საქმეში ისევ სიდედრი ჩაერია და ქალიშვილს მიუბრუნდა:

– ისე, რომ იცოდე, შენს შარვალს ვრეცხავდი...

*****



– გამარჯობა! გადააფორმეთ თქვენი სახლი ჩემს სახელზე.

– რას მიბედავთ, თვალში ხომ არ გეპატარავებით?!

– უი, უკაცრავად, სხვანაირად დავიწყე... გსურთ, ჭეშმარიტ ღმერთზე გელაპარაკოთ?

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

*გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას*

მამა ამირან გიგაური, მეუღლე ია კვანტალიანი, შვილი მარიამ გიგაური, სიმამრი კოტე კვანტალიანი, სიდედრი ქეთევან ლაშხია, ბიძები გიორგი გიგაური, ბორის გაბიძაშვილი ოჯახებით, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ირაკლი ამირანის ძე გიგაური**

**პანაშვიდები:** 6, 7 მარტს;
**გამოსვენება:** 8 მარტს;
**მისამართი:** ვარკეთილის მეურნეობა, რუსთაველის №29.

*გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას*

## 27-წლიანი შეცდომითი პატიმრობისგან განთავისუფლებული ინგლისელი მანქანამ გაიტანა



ერთ საცოდავ ინგლისელს, შონ ჰოდჯსონს, რომელიც სამართალდამცველებს, თურმე, შეცდომით დაუპატიმრებიათ და 27-წლიანი სასჯელიც მოუხდია, თავისუფლების პირველივე დღეები კლინიკაში გაუტარებია, რადგან ციხიდან გამოსულს ავტომობილი დასჯახებია.

საბედნიეროდ, მამაკაცი სერიოზულ დაზიანებებს გადაურჩა, თუმცა, ექიმების განმარტებით, მას რამდენიმედღიანი მკურნალობა მაინც აუცილებლად ესაჭიროება.

როგორც ირკვევა, შონ ჰოდჯსონი 1986 წელს დაუპატიმრებიათ და 22 წლის მიმტანის გაუპატიურება-მკვლელობაში უცნიათ დამნაშავედ. გავიდა ძალიან დიდი დრო და სასამართლო ექსპერტიზამ მხოლოდ ახლაღა დაადგინა, რომ მოკლულის სხეულში დარჩენილი სპერმა მას არ ეკუთვნოდა. ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, შონ ჰოდჯსონი კომპენსაციის სახით 500 ათას ფუნტ სტერლინგს მიიღებს, მაგრამ როგორც თავად ყოფილი პატიმარი ამბობს, ის აუცილებლად უჩივლებს სასამართლო ექსპერტიზას, რადგან, როგორც მისმა ადვოკატმა დაადგინა, ანალიზის პასუხების გახმაურება ჯერ კიდევ 1998 წელს შეიძლებოდა.

*etotupo.ru*

## ვის ნივთებზეა უფრო მეტი ბაქტერია — ქალის თუ კაცის?



ამ კითხვაზე პასუხის გაცემას არიზონას შტატის უნივერსიტეტის სპეციალისტები შეეცადნენ და კვლევის შედეგებით უსაზღვროდ გაკვირვებულებიც დარჩნენ.

აღმოჩნდა, რომ ქალების ნივთებზე იმდენი ბაქტერია სახლობს, რომ მამაკაცები სიზმარშიც ვერ ნახავენ.

ამერიკელები დიდხანს სწავლობდნენ ქალების ძალიან ბევრ ნივთს – ტელეფონებს, კომპიუტერებს, კოსმეტიკურ საშუალებებს და ასე შემდეგ. ასევე, მოხდა ცხადია, მამაკაცების შემთხვევაშიც.

შედეგად დადგინდა, რომ ქალების ნივთები, საშუალოდ, 4-ჯერ მეტი ბაქტერიითაა გაჯერებული, ვიდრე მამაკაცების.

რა არის ამ ერთი შეხედვით დაუჯერებელი ფაქტის მიზეზი? რა და ის, რომ ჩვეულებრივ, მშვენიერი სქესი ბევრნაირ ხელის კრემს იყენებს, რომლებიც სხვადასხვა ორგანიზმისთვის შესანიშნავ მიკროფლორას ქმნიან და ბაქტერიების გამრავლება-გავრცელებას წინ აღარაფერი უდგება.

– ქალის ნივთები სუფთა და ლამაზი მხოლოდ და მხოლოდ ერთი შეხედვითაა, – ასეთია საბოლოო დასკვნა, რომლის გათვალისწინებაც ორივე სქესისთვის აუცილებელია.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*aif.ru*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**6 მარტი:** შეიძლება დღეს აზრების მოკრება გაგიჭირდეთ, უფრო რთული კი შეიძლება აქტიური მოქმედებების დაწყება აღმოჩნდეს.

**კურო 22.04-21.05**
**6 მარტი:** რეალური შანსი გაქვთ, რაღაც გააუმჯობესოთ, ოღონდ ჯერ უცნობია, რა იქნება ეს. იმედია, ამ ყველაფერს დროულად გაიგებთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**6 მარტი:** დღეს იდეის გაჩენის მომენტიდან მის რეალიზაციამდე შეიძლება ნახევარი დღეც კი არ გავიდეს. იმედია, იდეებთან დაკავშირებით პრობლემა არ გექნებათ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**6 მარტი:** დღეს დახმარება დაგჭირდებათ და რაიმე საბაბით მასზე უარის თქმა დიდი სისულელე იქნება. ურიგო არ იქნება, თუ დამხმარეებს მადლობას ეტყვით.

**ლომი 23.07-22.08**
**6 მარტი:** საშუალება გექნებათ, თქვენი მრავალფეროვანი ღირსებები საუკეთესო მხრიდან წარმოაჩინოთ. დასანანი იქნება, თუ ამ საშუალებას არ გამოიყენებთ.

**ქალწული 23.08-22.09**
**6 მარტი:** შეიძლება ინფორმაციების სათანადოდ აღქმა და მით უმეტეს, გადამუშავება გაგიჭირდეთ. ურიგო არ იქნება, თუ ვინმეს დაიხმართ.

**სასწორი 23.09-22.10**
**6 მარტი:** თქვენი ქმედებები შეიძლება ყველამ სათანადოდ ვერ აღიქვას, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ქმედებებზე უარი თქვათ. ყველაფერს მოგვიანებით მიხვდებიან და მადლობასაც გეტყვიან.

**მორიელი 23.10-21.11**
**6 მარტი:** დღეს მარტოობისადმი ლტოლვა იმდენად გაგიძლიერდებათ, რომ კამპანიაში თქვენს ჩართვას ვერანაირი დაპირებებით ვერ შეძლებენ. იმედია, დღე მშვიდობიანად ჩაივლის.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**6 მარტი:** ამ დღეს შესაძლოა, არაერთი მოულოდნელი დამთხვევა მოხდეს. ტვინს ნუ გადაიღლით იმაზე ფიქრით, მართლა შემთხვევითობაა თუ არა. ნებისმიერ შემთხვევაში სპექტაკლში მონაწილეობა მოგიწევთ, ოღონდ მაყურებლის როლში.

**თხის რქა 22.12-19.01**
**6 მარტი:** ნებისმიერი საუბრები თქვენი თანდასწრებით, ძალიან უშუალო იქნება, მოლაპარაკებები კი წარმატებით ჩაივლის. გაურკვეველი მიზეზით, ყველა შეეცდება, თავი მოგაწონოთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**6 მარტი:** აუცილებლობა გაიძულებთ, აბსტრაქტული სამყაროდან რეალობას დაუბრუნდეთ. სანერვიულო არაფერია, ეს დროებითი იქნება.

**თევზები 19.02-20.03**
**6 მარტი:** შეიძლება დაუფიქრებლად რაღაც წამოგცდეთ, მაგრამ ამის გამო სინანულს ნუ იჩქარებთ. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მართალი აღმოჩნდებით.

## ინფარქტის გამომწვევი ყველაზე მოულოდნელი ფაქტორები



მოწევა, პასიური ცხოვრების წესი, სიმსუქნე – ყველაფერი ეს გულთან დაკავშირებული პრობლემების გაჩენის რისკს მნიშვნელოვნად ზრდის და ყველასთვის კარგად არის ცნობილი. თუმცა არსებობს არაერთი ფაქტორი, რომლებიც თვით სპეციალისტებსაც კი მოულოდნელად ეჩვენებათ.

ბრიტანელმა სპეციალისტებმა, ფაქტობრივად, ყველანაირი მიზეზი ჩამოთვალეს, რომლებიც მეტ-ნაკლებად მოქმედებს გულის ჯანმრთელობაზე.

ასე მაგალითად, თუკი ადამიანს რამდენიმე უფროსი ძმა ჰყავს, ინფარქტის რისკის ჯგუფში შედის. მიზეზი ის არის, რომ რამდენიმე ვაჟის გაჩენის შემდეგ, დედის საშვილოსნოში ჩასახულ მორიგ ნაყოფს ტესტოსტერონის დონე დასაშვებზე ბევრად მაღალი აქვს. დაბადების შემდეგ ის მკვეთრად ეცემა, რამაც ზრდასრულ ასაკში შესაძლოა, ინფარქტი განავითაროს.

ასევე, საშიში ყოფილა დასაძინებლად შუაღამის შემდეგ დაწოლა. იაპონელი სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ასეთი რეჟიმი მთავარი არტერიის მუშაობის დაზიანებას იწვევს. ბრიტანელი მეცნიერები იმასაც ამატებენ, რომ საწოლიდან ადგომის მანერასაც კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რათა გული არ დავიზიანოთ. კერძოდ, არაფრით შეიძლება საწოლიდან სწრაფად წამოხტომა.

კემბრიჯელმა ექსპერტებმა კვლევების შედეგად დაადგინეს, რომ გულის შეტევები ძირითადად, ნოემბერში, დეკემბერსა და იანვარში ფიქსირდება. მიზეზი ინფექციები და სიცივეა.

ყველაზე საშიში დრო ინფარქტისთვის დილის 6 საათი ყოფილა, რაც, ასევე, სტატისტიკის შესწავლის შედეგად დადგინდა.

თქვენ წარმოიდგინეთ, ინფარქტის ალბათობას ისიც კი ზრდის, რამდენად ერთგულია ადამიანი მეუღლესთან მიმართებაში. ამ მოსაზრების ავტორები ფლორენციელი სწავლულები არიან, რომლებმაც დაამტკიცეს, რომ ღალატისკენ მიდრეკილ მამაკაცებს გულთან დაკავშირებული პრობლემები ერთგულებზე 55 პროცენტით ხშირად აწუხებთ.

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ის, ვისაც ყურის ბიბილოზე ნაოჭები აქვს, სხვებთან შედარებით, გულის დაავადებებით მთელი 80 პროცენტით ხშირად იტანჯება.

მოკლედ, გული ისეთი რამეა, მასთან ხუმრობა არაფრით შეიძლება. ორგანიზმი კი ყველანაირად გვანიშნებს, რომ პრობლემა მწიფდება და უმჯობესი იქნება, თუკი ძალიან დიდ ყურადღებას გამოიჩენთ საკუთარი თავის მიმართ.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*fashiongu.ru*



თაკო მაკოსთან მივიდა სტუმრად. ხედავს, მაკოს მთელ სახლში იატაკი სველია, სამზარეულოში, სააბაზანოში და ტუალეტში ონკანები მოშვებულია, თავად კი თითქმის შიშველი სავარძელზე წევს განაბული.

– ეს რა ხდება შენს თავს, გოგო?!

– არაფერი, დამშვიდდი! უბრალოდ, ქვედა მეზობელმა მითხრა, თუ კიდევ ერთხელ ჩამოვა შენგან წყალი, სასტიკად გაგაუპატიურებო...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

**შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“**

»211359457

დამფუძნებელი
**გიორგი ბრეგვაძე**

**რედაქტორი:** თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212033 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – **ტატა ბრეგვაძე**
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
**ილია ჭაძვაძე** (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
**ლევან ბანეთიშვილი**

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“** საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
**577-444-442**
მიხეილ სახვაძე
21 21 80 ან 233 20 06
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.59